# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 დეკემბერი 2007 №288 (3211) ფასი 50 თეთრი

# ეკიპის პიკი და სარბიელი წლის მსოფლიოსთვის

რაგბიში, როგორც ფეხბურთში: ფრანგულმა სპორტულმა გამოცემა „ეკიპმა“ მსოფლიოს წლის საუკეთესო მორაგბის გამოსავლენ გამოკითხვაში „სარბიელიც“ ჩართო. შეგახსენებთ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში, რომელსაც ფრანგულივე „ფრანს ფუტბოლი“ აწარმოებს, საქართველოდან „სარბიელი“ მონაწილეობს. „ეკიპმა“ 10 საუკეთესოს დასახელება გვთხოვა, ამათგან პირველი სამეული — მთლიანი სეზონის გათვალისწინებით; დანარჩენებები — მსოფლიოს თასის შედეგებით.
ჩვენ ათეულისთვის გიორგი შკინინიც შევარჩიეთ, მორაგბე, რომელმაც უდრამატულეს ჯახში ირლანდიას ულამაზესი ლელო გაუტანა, ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და მსოფლიოს თასის მაყურებელს ალტაცებაც მოჰგვარა.




## სარბიელის რჩეულები

1. ბრაიან ჰაბანა — (სამხრეთ აფრიკა)
2. ხუან მარტინ ერნანდესი — (არგენტინა)
3. ჯონ სმიტი — (სამხრეთ აფრიკა)
4. ჯონი უილკინსონი — (ინგლისი)
5. აგუსტინ პიშო — (არგენტინა)
6. იანიკ ჟოზიონი — (საფრანგეთი)
7. ფელიპე კონტეპომი — (არგენტინა)
8. გიორგი შკინინი — (საქართველო)
9. ჯეისონ რობინსონი — (ინგლისი)
10. სებასტიან შაბალი — (საფრანგეთი)









# საქართველომ გაისროლა
## ხუთი გოლი, ორი ტოპი და მენთეშაშვილი




**ლუქსემბურგი 0:5 საქართველო**

0:1 კობახიძე (20), 0:2 გოცირიძე (30), 0:3 ბჟალავა (35), 0:4, 0:5 გოცირიძე (42, 87)
საქართველო: თევდორაძე (ლორია 70), თომაშვილი (ბენაშვილი 55), სანაია (ჩიხრაძე 74), ხიდეშელი (დაუშვილი 70), ნავალოვსკი, ლობჟანიძე, ბჟალავა, კლიმიაშვილი (მეყვლაძე 75), შ. გრიგალაშვილი, ბ. გოცირიძე, ს. კობახიძე (ბეგლარიშვილი 55)
მწვრთნელი: პეტარ სეგრტი

**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა წლევანდელი სანაკრებო სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაასრულა და ლუქსემბურგელ თანატოლებს 5:0 სძლია.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო პეტარ სეგრტის ფეხბურთელების პირველი გამარჯვება სტუმრად.

მატჩი ქართველთა უპირატესობით დაიწყო და დასაწყისშივე ორჯერ ბექა გოცირიძეს, ერთხელ კი უჩა ლობჟანიძეს კარგი შანსები გაუცუდდათ, თუმცა ტაიმის ბოლოს ჩვენები ოთხბურთიანი ფორით იწონებდნენ თავს.

მე-20 წუთზე გუნდის კაპიტან გიორგი ნავალოვსკის ფლანგურ ჩაწოდებას სანდრო კობახიძე შორიეულ ძელთან დაუხვდა და თავური დარტყმით თავისიანები დააწინაურა.

ათიოდ წუთში გოცირიძემ მორიგი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და შოთა გრიგალაშვილის შესანიშნავი პასის შემდეგ ანგარიშში სხვაობა გააორმაგა.

35-ე წუთზე კი ჩვენებმა მეტოქე მთლად დაიბრიყვეს: გოცირიძემ მცველებს ბურთი თავზე გადაუგდო და მირზა ბჟალავა მეკარეს პირისპირ შეატოვა, მანაც არ „დაიზარა“ და იმავ ზერხით გაიტანა — 3:0.

ბოლო ორი გოლი კი გოცირიძისა იყო: „ზესტაფონის“ თავდამსხმელმა ჯერ 42-ე წუთზე გაიტანა, შემდეგ კი 87-ზე ნაკრების დებიუტანტ ზაქარია ბეგლარიშვილის პასით ჰეთ თრიქი შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ მატჩს ესწრებოდნენ ეროვნული და 19-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელები — კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები, ასევე ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი, ვინც კაიზერსლაუტერნიდან დროებით წამოვიდა.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემმა გუნდმა ასეთი ანგარიშით იმარჯვა. მსიამოვნებს ისიც, რომ გასვლით მატჩშიც მივაღწიეთ წარმატებას და ამავდროულად, ზედიზედ მეორე შეხვედრაში შევინახეთ კარი მშრალად. თან დღეს ახალგაზრდულ ნაკრებში სამმა დებიუტანტმა ითამაშა: ირაკლი შეყილაძემ პორტუგალიაში, 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას კარგად წარმოაჩინა თავი და ჩვენც შანსი მივეცით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვადასხვა მიზეზით ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, დღევანდელი გამარჯვება მისასალმებელია“ — განაცხადა სეგრტმა ნამატჩევს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გადაიხადეთ და წაიყვანეთ
## ფრაიბურგმა ხიზანეიშვილი შეაფასა



**გერმანული** „ფრაიბურგი“ თანახმაა, გაყიდოს ოთარ ხიზანეიშვილი, თუ 300 ათას ევროს გადაუხდიან.

ამ ინფორმაციას გერმანული სააგენტოები ავრცელებენ და იქვე განმარტავენ, რომ „ფრაიბურგს“ ახლა თავდამსხმელი სჭირდება და ქართველ მცველში აღებულ ფულს ამ ტრანსფერში გამოიყენებს.

გეცოდინებათ, ხიზანეიშვილს ინგლისური „სანდერლენდი“ ეპატიჟება და ფრაიბურგელთა საპასუხო წინადადებაც ამ ამბის გაგრძელება უნდა იყოს.

ახლა ყველაფერი ინგლისელთა მარიფათზეა, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ხიზანეიშვილმა ეს სეზონი უიღბლოდ დაიწყო — ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ისიც შეცვლაზე 8 წუთი.

**კახა ზალამბერიძე**



# არველაძემ დაიწყო!
## ესპანური ავანსები ქართველს

**გასახარი** ამბავი — შოთა არველაძე თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა და მალე „ლევანტეს“ შემადგენლობაში ესპანურ პრიმერაში თავის პირველ მატჩს ითამაშებს.

„სამშაბათს შოთამ გუნდთან ერთად ივარჯიშა (რაც ბოლო ოთხი თვის განმავლობაში არ მომხდარა) და ვალენსიელთა მწვრთნელ ჯოვანი დე ბიაზის საპრიმერო მატჩებისთვის თავისი მზადყოფნა დაუმტკიცა“ — წერს ესპანური „მარკა“.

როგორც „ლევანტეს“ სამედიცინო შტაბი აცხადებს, ქართველს ძალთა სრულად აღდგენისთვის მაქსიმუმ ორი კვირა დასჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ შოთას მოედანზე, სავარაუდოდ, „დეპორტივოსთან“ პრიმერადივიზიონის მეჩვიდმეტე ტურში ვიხილავთ.

ესპანურმა მედიამ კი არველაძე „ლევანტეს“ საიანვრო „პირველ ტრანსფერად“ გამოაცხადა.

„ასი“ წერს: „შოთა „ლევანტეს“ ყველაზე საჭირო დროს უბრუნდება. გუნდი ძალიან მძიმე დღეშია, თუმცა არველაძისნაირი ფორვარდი, ვისაც 16 წლის განმავლობაში „ტრაბზონსფორის“, „გლაზგო რეინჯერსის“, „აიაქსის“ და „ალკმაარის“ შემადგენლობაში თითქმის 300 გოლამდე გაუტანია, ალბათ დე ბიაზის „ლევანტეს“ ლა ლიგაში დატოვებას მოახერხებს“.

**ლადო ხომერიძე**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა



— ბიჭო, შენ ვის ეკაფუები — შეუღრინა „ამ გუნდის“ მარცხენა მცველმა შეტევაზე გადმოსულ „იმ გუნდის“ მარჯვენა მცველს.

პასუხად ასე მიიღო:

— რა გინდა, ძმაო, მე ჩემსას ვჩალიჩობ, შენ შენი იჩალიჩე.

— აბა, მორჩეს ლაპარაკი! თუ გინება და ჩხუბი გინდათ, აქ ვარ და მე მაგინეთ და მეჩხუბეთ — ჩაერია ფეხბურთელების ლაპარაკში მკაცრი მსაჯი.

— აუ, არ გინდა, რა ეგეთები. თუ ვთამაშობთ, ვითამაშოთ — „ამ გუნდის“ კაპიტანმა თავისიანის დაშოშმინება სცადა.

— ე, ბაკავოი, ეხლა აფსაიტი არ იყო?! — დაიბღავლა უცებ ტრიბუნიდან ვიღაცამ.

ბაკავოიმ ვერ გაიგო, რა შუაში იყო აფსაიტი, მაგრამ ვალში არ დარჩა:

— ნახე ჩანაწერი და ნახავ.

— ვნახავ და განახებ, შენი...

მდგომარეობა ისევ მსაჯმა განმუხტა, რომელიღაცა მხარეს ჯარიმა დანიშნა.

— აუ, შენ მე გადამრევ, რა — ხელები გაშალა „იმ გუნდის“ ყველაზე ახალგაზრდა თავდამსხმელმა, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მამამისს უკრაინაში და რუმინეთში დაჰყავდა, მაგრამ ვერ გაყიდა.

— ალბანეთის ვარიანტიც ხომ იყო? — გადაულაპარაკა ტრიბუნაზე მამამისის გვერდით მჯდომმა ყველას მეგობარმა და ყველაფერში გარკვეულმა ჟურნალისტმა.

— იყო, მაგრამ ჩერესჩურ ბევრი მოითხოვეს. ისევ აქ თამაში ჯობია.

— თან, ეხლა შვილიშვილიც ეზრდება... უნდა ნახო, რა ბიჭია — ჩაურთო მამამისის აღფრთოვანებულმა ძმაკაცმა.

— შვილიშვილი? ამის ბიჭია? — გაკვირვება ვერ დამალა ამ სასტავთან ისე რა დაახლოებულმა ტიპმა.

მისთვის პასუხის გაცემა ჟურნალისტის დონე იყო:

— აბა...

— ვახ, როგორ გადის დრო.

— ე, ბიჭო, პენალი, შენი... — ისევ აბღავლდა ის ვიღაც.

„ამ გუნდის“ ორმოცდაასი ნომერი გამოექანა და მსაჯს პანღური ამოარტყა.

— უჰ, ეგრე რა, სად იყავი აქამდე — ამოისუნთქა მსაჯმა და კუთხური დანიშნა.

— უი, გაზზე ჩაიდანი დამრჩა — ჩაილაპარაკა ამ დროს „იმ გუნდის“ ნახევარმცველმა.

უცებ მოესმა:

— ეს შენ თამაშის მსვლელობისას სხვა რაღაცებზე ლაპარაკისთვის — თვალების წინ წითელი ბარათი კაშკაშებდა.

— კარგი რა, ჩემი... — ჩაილაპარაკა ნახევარმცველმა და მოედანი დატოვა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— ფუტბოლის აზრზე არ არის — გადაულაპარაკა მისი თანაგუნდელის მამამისმა თავის აღფრთოვანებულ ძმაკაცს. ამ სასტავთან ისე რა დაახლოებულმა ტიპმაც რაღაც თქვა, მაგრამ არავინ მოუსმინა...

**ბაჩუნა ქედია**

P.S. ყველანი არჩევნებზე!

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

# დავბრუნდი!

## კობიმ იცის: შევურიგდეთ ერთმანეთს და შევურიგდებით წარმატებას

თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ მოედანზე დაბრუნდა საქართველოს ნაკრებისა და გელზენკირხენის „შალკეს“ ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი. სამშაბათს „ხუმარებს“ მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდათ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე — „შალკემ“ ნორვეგიული „რუსენბორგი“ 3:1 დაამარცხა და პირველად კლუბის ისტორიაში ევროპული მასშტაბით უპირველესი ტურნირის პლეი ოფში გავიდა. კობიმ შეცვლაზე სულ ოთხი წუთი ითამაშა, თუმც მთავარი ისაა, რომ უკვე გამოჯანმრთელდა და თამაში შეუძლია.
კობიაშვილი საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანი და ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, ამიტომ მისი წარმატება და, რაც შეიძლება, მალე კონდენციების სრულად აღდგენა ჩვენს ნაკრებს, ცხადია, წაადგება.
ლევანს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...



ლევან კობიაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა „რუსენბორგთან“ მოგება უდისციპლინობისთვის დასჯილ თანაგუნდელებს, მლადენ კრსტაიჩს და ივან რაკიტიჩს მიუძღვნეს

— მოედანზე ყოფნა ყველა ფეხბურთელს სიამოვნებს, ამიტომ ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნება ორმაგად სასიხარულოა. მართალია, მხოლოდ ბოლო წუთები ვითამაშე შეცვლაზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტკივილს აღარ შევუწუხებივარ. ბუნდესლიგის პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი, შემდეგ კი თებერვლამდე შესვენებაა, ანუ საკმაო დროის განმავლობაში ისევ უფეხბურთოდ უნდა ვყოფილიყავი. ამის გამო უფრო მეტად გამიხარდა, რომ თამაში შევძელი.

— პირველი წრის ბოლო ტურში „ნიურნბერგს“ მასპინძლობთ. როგორ ფიქრობ, სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებ თუ ისევ შეცვლაზე მოგიწევს შესვლა?

— სასტარტოში რომ ვითამაშო, გამორიცხულია. ერთი კვირაა, ვარჯიში დავიწყე, ამიტომ შეუძლებელია, 90 წუთს ფიზიკურად გავუძლო. თუ ბოლო წუთებზე მაინც ვითამაშე, ესეც კარგი იქნება. ჩემთვის ამ ეტაპზე მთავარია, ცოტა ხნით მაინც ვითამაშო. ეს პაუზაც ერთგვარი დახმარებაა — ამ დროში სრულად ავიღდგენ სასურველ ფორმას.

— „შალკე“ თავის ისტორიაში პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან. რა მიზნები აქვს გუნდს, როგორც ლიგაში, ისე ბუნდესლიგაში?

— ჯგუფური ეტაპის დაძლევა სასიხარულოცაა და მნიშვნელოვანიც. კარგია, რომ მერვედფინალში გავედით, ეს ფინანსურადაც მომგებიანია კლუბისთვის და ფეხბურთელებმაც ვირწმუნეთ ჩვენი ძალა. ამ ჯგუფში ფავორიტებად არ ვითვლებოდით და მომდევნო ეტაპზე გასვლას ყველა „ჩელსის“ და „ვალენსიას“ უწინასწარმეტყველებდა. ფაქტობრივად, წარმოუდგენელი შედეგით და მერვედფინალში გავედით. ახლა ბევრი რამ წილისყრაზე იქნება დამოკიდებული და ვეცდებით, სულ ცოტა, ერთი ეტაპი კიდევ გავიაროთ. რაც შეეხება ბუნდესლიგას, ლიდერებს ოდნავ ჩამოვრჩით, მაგრამ ხელი არ ჩაგვიქნევია და სამეულისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ, რაც გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გარანტია იქნება.

— ნაკრებზეც ვთქვათ. ცოტა ხნის წინ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა, რა შანსები აქვს საქართველოს ნაკრებს ამ ჯგუფში?

— ყველაფერი შეიძლება, მოხდეს. ამ ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლა საოცნებო არ უნდა იყოს. იტალია მაინც ფავორიტია და პირველობაში ალბათ ვერავინ შეეცილება, დანარჩენებს კი, თვით მეექვსე კალათიდან ამოსულ ჩერნოგორიასაც, რეალური შანსი აქვთ, მეორე ადგილზე გავიდნენ. მთავარია, ის პრობლემები აღარ განმეორდეს, წინა შესარჩევში რომ გვქონდა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ მეექვსე ადგილი დავიკავოთ. ძალიან თანაბარი ჯგუფია და გასვლით თამაშებში ყველა გუნდს შეექმნება პრობლემები. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება კალენდარიც, ხშირად ორი თამაშის ჩატარება ოთხ დღეში გვიწევს, ამ შემთხვევაში კი, სასურველი კალენდარი მომგებიანია.

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალ შესარჩევ ეტაპზეც ნაკრები კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით ითამაშებს. როგორც გუნდის ვიცე-კაპიტანი, გამოცდილი და წამყვანი ფეხბურთელი, მის მთავარ მწვრთნელად ხელახლა დანიშვნას როგორ შეაფასებ?

— არ შეიძლება, დადებითად ვილაპარაკო იმ შედეგზე, რაც წინა შესარჩევში გვქონდა, მაგრამ ეს უკვე წასული ამბავია და უნდა დავივიწყოთ. ახლა მთავარია, იგივე შეცდომა არ გავიმეოროთ, რაც მწვრთნელების გაუთავებელი ცვლით მოგვსვლია. ვიცით ტოპმიოლერის შესაძლებლობები, მას ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნა შეუძლია. თავადაც უკვე კარგად იცნობს ყველა ფეხბურთელს, მეორეს მხრივ, იგივე შედეგის გამეორება არავის დააკმაყოფილებს. ამიტომ ტოპმიოლერიც და ფეხბურთელებიც ზეწოლის ქვეშ ვართ. ახლა შეცდომების უფლება აღარ გვაქვს და ის მიზნები, რაც ასე სანატრელი და საოცნებო გაგვხდომია, ბოლოს და ბოლოს, უნდა ავისრულოთ. ამის გაკეთება ნაკრებს თავისი პოტენციალით ნამდვილად შეუძლია, მთავარია, იმ მოუშორებელმა სენმა, რასაც გაუთავებელი ტრავმები და დისკვალიფიკაციები ჰქვია, თავი დაგვანებოს.

— ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოჩნდნენ. შეძლებენ თუ არა ისინი ამხელა ტვირთის ზიდვას?

— ამას წინასწარ ვერავინ იტყვის, მაგრამ გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები იმიტომ არიან, რომ ახალგაზრდებს გვერდით დაუდგნენ და დაეხმარონ. იმის თქმა, რომ ყენიათი და მჭედლიძით გუნდი გაახალგაზრდავდა, არ შეიძლება, ძირითადი ბირთვი იგივე რჩება და მათი პასუხისმგებლობაც იზრდება. ახალგაზრდა ფეხბურთელები ბევრ სიახლეს შემოიტანენ, ალბათ ჩავარდნებიც ექნებათ. ასეთ შემთხვევაში, ჯოხის მათზე გადატეხვა არ შეიძლება. სხვების გასაგონად ვამბობ: ასეთ დროს ორმაგი პასუხისმგებლობა გამოცდილ ფეხბურთელებს ეკისრებათ და უფრო სასურველი იქნება, თუ სხვადასხვა მიზეზის გამო გამოცდილ და გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელებზე უარს არ ვიტყვით.

— ამას ტოპმიოლერ-ხიზანიშვილის კონფლიქტის გამო ამბობ?

— გინდ ხიზანიშვილის, გინდ იაშვილის, მუჯირისა თუ სხვა ფეხბურთელების გამო. მათი გამოცდილება საქართველოს ნაკრებს სჭირდება და ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მათზე უარი ვთქვათ. სჯობს, ყველაფერი მოგვარდეს. პირადად მე მომხრე ვარ, მხარეებს შორის დიალოგი შედგეს და სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. ამით ნაკრები მეტს მოიგებს.

— ლევან ყენიაზეც მინდა გკითხო. მისი ასაკიდან გამომდინარე, „შალკეში“ ადაპტაცია ხომ არ უჭირს. საერთოდ, როგორ შეეწყო გერმანულ გარემოს?

— რა თქმა უნდა, იოლი არ არის ასეთ ასაკში სახლიდან წამოხვიდე და ოჯახს მოწყდე — ეს პერიოდი მეც გავლილი მაქვს და კარგად ვიცი. ასეთ მდგომარეობაშია ლევანიც, ენატრება დედა, მამა, ოჯახი, ახლობლები, მაგრამ დროდადრო ყველაფერი გაუვლის. მთავარი ისაა, რომ ლევანი გრძნობს თავის ფუნქციას. იცის, რომ ფეხბურთელია და ცდილობს, ეს პრობლემები დაძლიოს. მეც და სხვებიც, შეძლებისდაგვარად, გვერდით ვუდგავართ და ვეხმარებით. მჯერა, მისი ნიჭი და ტალანტი არ დაიკარგება.

— ერთიც: ახლახან „კაიზერსლაუტერნში“ ლევან ცქიტიშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი იყვნენ. თუ ესაუბრე მათ და რა იცი ახალი?

— როგორც ვიცი, პრობლემა თავად „კაიზარსლაუტერნს“ ჰქონდა. ლევანს ვესაუბრე და რაღაც დეტალებზე დღემდე ვერ შეთანხმდნენ, თუმც არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს დროში ეს საკითხი მოგვარდეს. მენთეშაშვილთან არ მისაუბრია, თუმც გადმოცემით ვიცი, რომ მასაც იგივე პრობლემები შეექმნა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო ფუტსალის კალათაში

**დღეს** ნიონში ფუტსალის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება.

უეფამ 28 გუნდი 4 კალათაში გადაანაწილა და საქართველო მესამე კალათაში მოხვდა.

ამგვარად, გადაწყვეტილია, რომ ჩვენები ვერ შეხვდებიან მაკედონიას, საბერძნეთს, საფრანგეთს, აზერბაიჯანს, ლიტვას და ლატვიას.

რუსეთი, როგორც ჩემპიონატის მასპინძელი, შესარჩევი ეტაპისგან თავისუფალია.

ეს 28 გუნდი შვიდ ჯგუფში გადანაწილდება და გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

შესარჩევი ეტაპი გაისად, 7-13 აპრილს გაიმართება, ფინალური ეტაპი კი 6-14 დეკემბერსაა დაგეგმილი.

ცნობისთვის: ფუტსალში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი პირველად ტარდება.

**ბახა შალამბერიძე**

# ბალტიკას ქართული თავი

**წარმოშობით** ქართველი ზურაბ სანაია კალინინგრადის „ბალტიკას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

39 წლის სანაია ყოფილი მეკარეა, „ბალტიკაში“, „სოკოლში“, სტავროპოლის „დინამოში“ და საბერძნეთში თამაშობდა, ბოლოს კი მეკარეთა მწვრთნელი იყო ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიაში“.

**ბახა შალამბერიძე**

# ამისულაშვილი მეხუთეზეა



**რუსული** CHAMPIONAT.RU რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელების გამოკითხვას ატარებს ამპლუების მიხედვით. ჯერჯერობით მხოლოდ მეკარისა და მცველების პოზიციებზე დასახელდნენ საუკეთესოები.

ქართველთაგან მხოლოდ ალექსანდრე ამისულაშვილი მოხვდა იმ ხუთეულში, რომლისგანაც სპეციალისტებს საუკეთესო მარცხენა ცენტრალური მცველი უნდა დაესახელებინათ.

გამოკითხვით შედეგებით, ჩვენებური 259 ხმით (2 პროცენტი) მეხუთე ადგილზე გავიდა. ამისულაშვილს აჯობეს სატურნელმა ილიასუ შილამ (466 ხმა), ამკარელმა ალექსეი პოპოვმა (776), ზენიტელმა ნიკოლას ლომბერტსმა (3808) და სპარტაკელმა რადოსლავ კოვაჩმა (6955).

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გივი დიდავა ხუთოსანია



2007 წელი: გივი დიდავა და ამერული სუპერთასი

საქართველოში სუპერთასის გათამაშება შვიდჯერ ჩატარდა. აქედან ხუთში მონაწილეობდა თბილისის „ამერის“ მცველი **გივი დიდავა** და ხუთჯერვე გამარჯვებული გამოვიდა — სამჯერ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში აღმართა სუპერთასი, ორჯერ კი, „ამერში“. სუპერთასის ხუთგზის მფლობელ გივი დიდავას გუშინ რედაქციაში გავესაუბრეთ...

## ამერს მოდუნება ძვირად დაუჯდა



1999 წელი: გივი დიდავა და დინამოური სუპერთასი

— 9 დეკემბერს კიდევ ერთხელ მოიგე სუპერთასი — „ამერმა“ რუსთავის „ოლიმპი“ 4:1 დაამარცხა. შენთვის კი ეს მეხუთე სუპერთასია...

— ჩემთვის მართლაც ძალიან სასიამოვნოა, რომ ქართველი ფეხბურთელებიდან ერთადერთი ვარ, ვისაც სუპერთასი ხუთჯერ მოუგია.

— და „ოლიმპთან“ მატჩზე რაღას გვეტყვი?

— თავიდანვე მოვიპოვეთ უპირატესობა და, ჩემი აზრით, მეტოქეს საგრძნობლადვაჯობეთ. ბიჭები კარგად გაისარჯნენ. რა თქმა უნდა, გრიგოლ დოლიძე იმ დღეს საუკეთესო იყო — სამი ძალიან მნიშვნელოვანი და ლამაზი გოლი გაიტანა. განსაკუთრებით მესამე, ისე ტექნიკურად გაიტანა, მე კი არა, მგონი, თავადაც გაუკვირდა.

— ამ სუპერთასებიდან შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი იყო?

— თითოეული მათგანის მოგებამ დიდი სიხარული მომანიჭა, მაგრამ პირველი მაინც სულ სხვა იყო — „დინამომ“ 4:0 მოუგო „ბათუმს“ და ბოლო თხუთმეტი წუთი ვითამაშე.

— „ამერს“ ეროვნულ ჩემპიონატში პირველი წრე აშკარად ჩაუვარდა. როგორ ფიქრობ, რატომ?

— გეთანხმები. ძალიან დასაფიქრებელია, რომ ყველა კონკურენტთან დავმარცხდით. პირველი ტურში, თბილისის „ლოკომოტივთან“ მატჩში, მეორე ტაიმში მოვდუნდით, რაც წაგებად დაგვიჯდა, არადა, მანამდე უეფას თასზე პოლონურ „ბელხატუვთან“ საპასუხო მატჩში კარგად ვითამაშეთ და ცოტა დაგვაკლდა მომდევნო ეტაპზე გასვლამდე. შეიძლება, ამანაც იქონია თავისებური გავლენა. ფეხბურთში ჩავარდნა ყველა გუნდს შეიძლება დაემართოს და არც „ამერია“ გამონაკლისი, თუმცა მეორე წრეში ვეცდებით, ეს რთული მდგომარეობა გამოვასწოროთ.

— **რა მიზნისთვის იბრძოლებს ამ სეზონში „ამერი“?**

— ჩემპიონობაზე ფიქრი უკვე არარეალურია. ამ გადასახედიდან მესამე ადგილზე გასვლა შეგვიძლია და, რა თქმა უნდა, ზედიზედ მესამედ თასის მოგებასაც შევეცდებით.

— როგორ ფიქრობ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონე ნელ-ნელა მაინც მატულობს?

— ორი წელია, რაც უცხოეთიდან დავბრუნდი და რასაც ვხედავ, ოდნავ წინსვლა აშკარად არის.

— **თავის დროზე, საქართველოს ნაკრებშიც გითამაშია. ხარ საქართველოს ჩემპიონი, თასის და სუპერთასის მფლობელი. შენს კარიერაში ყველაზე მეტად გული მაინც რამ დაგწყვიტა?**

— რისი მიღწევაც შევძელი, ამისთვის მადლობა უფალს. ხოლო, რაზეც გული მწყდება, ის არის, რომ საზღვარგარეთ რამდენ კლუბშიც წავედი, თითქმის არსად ამეწყო საქმეები. ბელგიაში, „რასინგ-მეხელენში“ ჩავედი და გუნდი დაიშალა, თურქეთში „ქოჯაელისფორში“ ვიყავი და გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა... იყო მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობებიც და ერთი სიტყვით, უცხოეთში არ გამიმართლა. აი, ამაზე მწყდება გული.

— და ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევ?

— ძალიან მომეწონა ლოკომოტიველი ლევან ყენია, რომელიც უკვე „შალკეში“ გადავიდა. მან თავისი ნიჭიერება ეროვნულ ნაკრებშიც დაამტკიცა. ლევანს კარგი პერსპექტივა აქვს და ვფიქრობ, დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

— **ფეხბურთმა დიდი გამოცდილება შეგძინა და რას ეტყვი ახალგაზრდა ფეხბურთელებს?**

— მცირედით არასოდეს დაკმაყოფილდნენ. მხოლოდ დიდ შრომას მოაქვს წარმატებები. მწვრთნელი რომ ვარჯიშს დაამთავრებს, ახალგაზრდებს ერთი სული კი არ უნდა ჰქონდეთ, რომ სახლში გაიქცნენ, დამატებით უნდა ივარჯიშონ, დრო უქმად არ დაკარგონ და შედეგსაც აუცილებლად მიიღებენ.

**ნუკრი ლოლაძე**

## ვინ როდის და რამდენჯერ მოიგო სუპერთასი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ. დიდავა | 1996, 97, 99, 06, 07 | დ. ბოლქვაძე | 2006, 07 | დ. მაქაცარია | 1998 | ქ. ალადაშვილი | 2005 |
| გ. დავითნიძე | 1997, 06, 07 | დ. კუდინოვი | 1996 | დ. ვერეშჩუკი | 1998 | ა. ამისულაშვილი | 2005 |
| ი. ზოიძე | 1996, 97 | ლ. კობიაშვილი | 1996 | მ. მახარაძე | 1998 | ლ. აკობია | 2005 |
| ქ. კალაძე | 1996, 97 | დ. ყიზილაშვილი | 1996 | დ. ჭიჭველიშვილი | 1998 | დ. ოდიკაძე | 2005 |
| ნ. ლობჟანიძე | 1996, 97 | რ. კერძევაძე | 1996 | პ. მაჭუტაძე | 1998 | ლ. ნოზაძე | 2005 |
| ლ. ცქიტიშვილი | 1996, 97 | გ. ანჩაბაძე | 1996 | თ. ტულუში | 1998 | გ. მერებაშვილი | 2005 |
| გ. კიკნაძე | 1996, 97 | გ. ინალიშვილი | 1996 | თ. გადელია | 1998 | შ. ბაბუნაშვილი | 2005 |
| ა. იაშვილი | 1996, 97 | ზ. ჯელაძე | 1997 | ა. ლლონტი | 1998 | გ. ნავალოვსკი | 2005 |
| ლ. ხომერიკი | 1996, 97 | ქ. გოგიჩაიშვილი | 1997 | ს. გრიშიკაშვილი | 1999 | ლ. მელქაძე | 2005 |
| ვ. გუჩუა | 1997, 99 | რ. ალექსიძე | 1997 | გ. შაშიაშვილი | 1999 | ს. იაშვილი | 2005 |
| თ. სიჭინავა | 1998, 99 | ა. გოგობერიშვილი | 1997 | ი. ვაშაკიძე | 1999 | მ. ბობოხიძე | 2005 |
| რ. ქემოკლიძე | 1999, 05 | გ. ჩხაიძე | 1997 | ა. სახვაძე | 1999 | დ. გიგაური | 2005 |
| ზ. ქვაჩახია | 2006, 07 | დ. მუჯირი | 1997 | თ. რუხაძე | 1999 | დ. მჭედლიშვილი | 2006 |
| თ. ჩიკვილაძე | 2006, 07 | გ. კვარაცხელია | 1997 | პ. ჯინჭარაძე | 1999 | რ. წინამძღვრიშვილი | 2006 |
| გ. ელბაქიძე | 2006, 07 | ნ. ტოგონიძე | 1998 | დ. დათვაძე | 1999 | დ. სევასტოპულო | 2006 |
| გ. დოლიძე | 2006, 07 | რ. გოგიტაძე | 1998 | გ. ანჩაბაძე | 1999 | მ. მესხი | 2007 |
| გ. დეკანოსიძე | 2006, 07 | ზ. მინდაძე | 1998 | ქ. წიტაიშვილი | 1999 | რ. გოცირიძე | 2007 |
| გ. ჯელაძე | 2006, 07 | შ. აფხაზავა | 1998 | მ. ხუციშვილი | 1999 | ვ. კაკაშვილი | 2007 |
| დ. ტატანაშვილი | 2006, 07 | ა. კანტიძე | 1998 | ზ. სტურუა | 2005 | ა. ალავიძე | 2007 |

## გუნდები

| | |
|---|---|
| 1996 | დინამო |
| 1997 | დინამო |
| 1998 | ბათუმი |
| 1999 | დინამო |
| 2005 | დინამო |
| 2006 | ამერი |
| 2007 | ამერი |

## მწვრთნელები

| | |
|---|---|
| 1996 | დ. ყიფიანი |
| 1997 | დ. ყიფიანი |
| 1998 | შ. ჭეიშვილი |
| 1999 | ო. კორღალიძე |
| 2005 | ქ. ცხადაძე |
| 2006 | გ. ჩიხრაძე |
| 2007 | გ. ჩიხრაძე |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# ძარცვა ლივერპულში

**A ჯგუფი**

**მარსელი 0:4 ლივერპული**

0:1 ჯერარდი (4), 0:2 ტორესი (11), 0:3 კუიტი (48), 0:4 ბაბელი (90)

მარსელი: მანდანდა, ბონარი, ჟოვე (ფატი 45), ჟ. როდრიგესი, ტაივუ, ჩანა, შეირუ (ნასრი 34), ზიანი, ვალბუენა, ზენდენი (ჯ. სისე 46), ნიანგი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიპია, რიისე, ბენაიუნი, ჯერარდი, მასკერანო, კიუელი (აურელიო 67), ფ. ტორესი (ბაბელი 77), კუიტი (ლეივა 86)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: კარაგერი, ჩანა, აურელიო

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

55 000 მაყურებელი

**იმ დროს,** როცა სტივენ ჯერარდი „ველოდრომზე" ბურთს დასდევდა, მის ბინაში, ფორმბიში, ოთხი ნიღბიანი მხარცველი ძვირფასეულობას ჩანთაში ყრიდა. ჯერარდის ცოლი ალექსი და მისი დაქალი შინ იმყოფებოდნენ. ქალები დაშინდნენ, მაგრამ ყაჩაღებს მათთვის ხელი არ უხლიათ. პოლიცია რომ მივიდა, ქურდები უკვე სამშვიდობოს იყვნენ. წლეულს რეინა, ლუდეკი, აგერი, კრაუჩი და კუიტიც გაძარცვეს.

„ლივერპულმა" „მარსელს" იმდენი გაუტანა, რამდენი ყაჩაღიც ჯერარდს „დაეცა". 1:1, 0:1, 1:2 — ბენიტესის გუნდმა ასეთი ანგარიშებით დაიწყო ჯგუფური ეტაპი, მაგრამ ასე დაასრულა: 8:0, 4:1 4:0. მატჩის წინ ფრანგები მოგებით იმუქრებოდნენ, რადგან მანამდე „ველოდრომზე" ექვსიდან ექვსი ინგლისური კლუბი დაემარცხებინათ, „ლივერპული" პირველია, ვინც ნავსი გატეხა. თერთმეტ წუთში გაირკვა, რომ „მარსელი" „ლივერპულს" ლუკმად არ ეყოფოდა. ჯერარდმა პენალტი დაარტყა, მეკარემ მოიგერია, მაგრამ დამრტყმელმა დაამატა და 0:1. მერე ტორესმა საჯარიმოში ორი მცველი ჩამოიტოვა და კოხტა გოლი გამოუვიდა. ბაბელს და კუიტსაც არ გასჭირვებიათ გატანა, რადგან მეკარესთან პირისპირ გავიდნენ. „ბრწყინვალე გამარჯვება იყო — თქვა ბენიტესმა — ახლა დავმშვიდდი და „მანჩესტერთან" მომავალ მატჩზე ვფიქრობ". „სწრაფმა გოლმა დაგვშოკა და გონს ველარ მოვედით" — დაიჩივლა ერიკ გერეტსმა.

**პორტუ 2:0 ბეშიქთაში**

1:0 გონსალესი (44), 2:0 კვარესმა (62)

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პ. ემანუელი, ბ. ალვეში, ფუსილე (მ. ჩეხი 75), ლ. გონსალესი (ბოლატი 81), პ. ასუნსაო, მეირელეში, სეკტიუი (პოშტიგა 74), კვარესმა, ლ. ლოპესი

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

ბეშიქთაში: რუშთუ, თანდოგანი, ტორამანი, მერჩიმეკი, უზულმეზი, სერდარი, ე. სისე, ტელო (ფ. იგუაინი 84), ილმაზი (იბრაჰიმი 46), მ. დელგადო, დეივსონი

მწვრთნელი: ერთუღრულ საღლამი

გაფრთხილება: კვარესმა, რუშთუ, დეივსონი, იბრაჰიმი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

40 000 მაყურებელი

**„ბეშიქთაშის"** მეკარე და მცველები დაბნეულობისთვის დაისაჯნენ. მათ თამაშგარე მდგომარეობა ეგონათ და ამაოდ გახედეს მსაჯს. ამით ისარგებლა ტარიკ სექტიუიმ, ლუჩო გინსალესს ბურთი მიაწოდა და არგენტინელმა პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გახსნა. მანამდე, მე-13 წუთზე, ლისანდრო ლოპესმა შეაგდო, მსაჯმა არ ჩაუთვალა. შესვენების შემდეგ კვარესმამ მეორე გოლიც მიაყოლა და „ბეშიქთაშის" იმედი მოკლა. მატჩის ბოლოს იბრაჰიმ ტორამანს შეეძლო გატანა, როცა კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი შეაგება, მაგრამ ახლოდან ააცილა.

„პირველ ტაიმში მეტოქემ დაცვითი ფეხბურთი ითამაშა და განსაკუთრებით კარგად ფლანგები ჩაგვიკეტა, თუმც ჩვენ კარგ დროს გავიტანეთ. „ბეშიქთაშმა" ბევრი მომენტი ვერ შექმნა, თუ არ ჩავთვლით კუთხურებს და საჯარიმოებს. მეორე ნახევარში ჩემი გუნდი კარგად თამაშობდა და მათი შეჩერება უკვე ძნელი იყო. მეორე გოლი დავიმსახურეთ და ორი შანსი კვლავ ვერ გამოვიყენეთ" — თქვა ჟესუალდო ფერეირამ.

**რომან თურქია**



„სტივ ჯიმ" მძარცველთა ჯავრი „ველოდრომზე" იყარა

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 11 |
| ლივერპული | 6 | 3 | 1 | 2 | 18:5 | 10 |
| მარსელი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ბეშიქთაში | 6 | 2 | 0 | 4 | 4:15 | 6 |



# რანიერის პრობლემები

**ტურინის** „იუვენტუსის" ზაფხულის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენის ტიაგუ მენდეშის გუნდიდან წასვლის შანსები გაიზარდა. მას მერე, რაც „ბიანკონერის" მწვრთნელმა კლაუდიო სანიერიმ აღიარა, რომ პირველ რიგში მოჰამედ სისოკოს ყიდვა უნდოდა და არა ტიაგუსი...

პორტუგალიელი ნახევარმცველი „იუვეს" მოლოდინს ჯერჯერობით ვერ ამართლებს. არის საუბარი იანვარშივე მის გაყიდვაზე ან განათხოვრებაზე. მსურველებიც მრავლად არიან, პსჟ-ს მეთაურობით.

„როდესაც გავიგეთ, რომ მოჰამედ სისოკოში დაახლოებით 35 მილიონ ევროს გვთხოვდნენ, ტიაგუს ყიდვა მერე გადავწყვიტეთ. იგი ნიჭიერია და მიმაჩნია, რომ ზედმეტად აკრიტიკებენ. უბრალოდ, ადაპტაციის პერიოდი გაუგრძელდა. ტიაგუც და სერხიო ალმირონიც ძალიან საჭირო მოთამაშენი არიან, მაგრამ ახლა კრისტიანო ძანეტი და ანტონიო ნოჩერინო უკეთეს ფორმაში იმყოფებიან. ესაა და ეს" — თქვა რანიერიმ.

პარალელურად, „იუვეს" თავკაცს ახალი საფიქრალიც გაუჩნდა. ისევ დაშავდა ბოლო პერიოდში ტრავმებით გაწამებული მაურო კამორანეზი. რამდენად სერიოზულად, ჯერ უცნობია, მაგრამ შესაძლოა, მან ახალ წლამდე თამაში ვერ შეძლოს.

ნელ-ნელა ვარჯიში განაახლა კრისტიან მოლინარომ, მაგრამ როდის შეძლებს მინდორზე დაბრუნებას, ჯერჯერობით უცნობია. ეს გარემოება რანიერის პრობლემას დაცვის მარცხენა ფლანგზე უქმნის და, სავარაუდოდ, ცენტრიდან მარცხნივ გადაწევა ჯორჯო კიელინის მოუწევს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ელ კლასიკო? არა. ფიზიოთერაპევტი!

**შანსი** იმისა, რომ ტიერი ანრი პრიმერას ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში ითამაშებს, მინიმალურია, უფრო სწორად — ნულის ტოლი. ფრანგ ფორვარდს, რომელიც ზაფხულში სუპერვარსკვლავური ტრანსფერი მოგვევლინა „ბარსელონაში", კვლავაც ზურგის ტრავმა აწუხებს და, დიდი სურვილის მიუხედავად, 22 დეკემბერს „რეალთან" ომს ვერ შეძლებს. მწვრთნელი რაიკარდი და „ბარსას" ექიმები ანრის მოთმინებას ურჩევენ. მათი აზრით, ფეხბურთელმა არ უნდა გარისკოს და სრულად გამოჯანსაღებამდე თამაშისგან თავი შეიკავოს.

თან სამუელ ეტოოც დაბრუნდა. კატალონიელთა მეგოლე აფრიკელმა ტრავმა მოირჩინა და „ტიტის" ელვისებურად გამოჯანმრთელებაც „ბარსელონას" მესვეურთა მთავარი საზრუნავი აღარაა. სეზონის პირველ მესამედში, როცა ტრავმისგან გატანჯული ეტოო ტრიბუნაზე იჯდა, გუნდის იმედი ანრი გახლდათ, ახლა კი „კამპ ნოუზე" სიტუაცია მთლიანად შეიცვალა.

აფრიკელი ჯანზეა, თან ხომ არსებობს ბრწყინვალე ალტერნატივა, სახელად ბოიან კრკიჩი. ანუ „ბარსას" შეუძლია, ანრი არ დატანჯოს და ძალთა აღდგენისთვის საკმარისი დრო მისცეს. ექიმთა დასკვნით, ანრის ზურგი ქრონიკულად სტკივა, თუმც შესაბამისი ჯეროვანი მკურნალობით ტკივილის შეგრძნების მინიმუმამდე დაყვანას მოახერხებენ.

მოკლედ, საქმე ისე წარიმართა, რომ „ტიტის" „ელ კლასიკოში" ვერ ვიხილავთ. ფრანგი მკურნალობას გააგრძელებს, მომჯობინდება და გუნდს სავარაუდოდ მაშინ დაუბრუნდება, როცა სამუელ ეტოო კამერუნის ნაკრების შემადგენლობაში აფრიკის თასზე ითამაშებს. მართალია, „ბარსას" უნდა, რომ სამუელმა არა მხოლოდ „მალიორკასთან" (5-6 იანვარი), არამედ „მურსიასთანაც" (12-13 იანვარი) ითამაშოს, მაგრამ ამ გეგმიდან ნებისმიერი გადახვევა კატალონიური გრანდის ძირითადში კვლავ ტიერი ანრის დაბრუნებას მოასწავებს.

ან კიდევ კოპა დელ რეის შეხვედრა ბეჩავ „ალკოიანოსთან". ეს მატჩი 2008 წლის 2 იანვარს გაიმართება და ფრანგს კარგი შანსი ექნება, სუსტ მეტოქესთან გაივარჯიშოს და მომავალი დიდი ომებისთვის მოემზადოს.

ორშაბათს „ლა მასიას" საწვრთნელ ბაზაზე რაიკარდი ანრისთან მივიდა და ოსტატ-შეგირდმა „ელ კლასიკოში" „ტიტის" არყოფნის თაობაზე ნახევარსაათიანი ბჭობა გამართეს. ფეხბურთელი დამრიგებლის წინადადებას დათანხმდა და თქვა, რომ მზადაა, არ იჩქაროს და მკურნალობის კურსი გააგრძელოს. მერე ჟურნალისტებმა ანრი ფიზიოთერაპევტ ხუანხო ბრავოსთან ერთად ნახეს, ფეხბურთელი გამოჯანსალების ამბავში წამის დაკარგვასაც არ აპირებს. „ელ კლასიკო" კი შესანიშნავი მაესტროს გარეშე ჩაივლის...

**ლადო ხოშერიძე**



# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# იჩემბი დისკოთეკაზე


„შალკე“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან პირველად გავიდა

**B ჯგუფი**

**შალკე 3:1 რუსენბორგი**
1:0 ასამოა (12), 2:0 რაფინია (19), 2:1 კონე (23), 3:1 კურანი (36)
**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი, ვესტერმანი, ერნსტი, ბაირამოვიჩი, გრონმიულერი, იოზილი (კობიაშვილი 86), ასამოა (პირვუდესი 90), კურანი (ალტინტოპი 88)
**მწვრთნელი:** მირკო სლომკა
**რუსენბორგი:** პირშველდი, სტოორი, კვარმე, რისეტი, ბასმა, საპარა, ტეტეი, სკიელბრედი, სტრანდი (ტრაორე 61), ი. კონე (ია კონანი 77), ივერსენი
**მწვრთნელი:** ტრონდ ჰენრიკსენი
**გაფრთხილება:** კურანი, საპარა, ბორდონი
**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)
53 000 მაყურებელი

**ამ მატჩამდე** „შალკეს“ ჯგუფის ხუთ შეხვედრაში ორი ჰქონდა გატანილი, „რუსენბორგს“ კი სამი მიართვა, მეორე ადგილი წაართვა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში პირველად გავიდა. „შალკე“ შაბათს „აინტრახტს“ სტუმრად დაუზავდა, კვირა დილით კი ორი ფეხბურთელი — კრსტაიჩი და რაკიტიჩი დუისბურგში დისკოთეკაზე ტამ-ფანდურში ამხილეს. ორივე დასაჯეს და „რუსენბორგთან“ განაცხადში არ შეიყვანეს. ბიჭების სურათები გაზეთში გამოჩნდა. სერბის და ხორვატს პირში სიგარეტი, ხელში კი არყიანი ჭიქები ეჭირათ. „ხუმრებმა“ ჯგუფიდან გამსვლელის ვინაობა მათ გარეშეც, ოც წუთში გაარკვიეს. გრონმიულერმა საჯარიმო შეასრულა, ასამოამ კი დაარტყა, ბურთი სტრანდს მოხვდა და კარში შევარდა. ამის მერე კურანიმ და რაფინიამ გაითამაშეს კომბინაცია და ბრაზილიელმა ახლო კუთხეში გაიტანა. „რუსენბორგმა“ სხვაობა მალევე შეამცირა და მატჩის გადარჩენის იმედი გაუჩნდა. ტეტეიმ მარცხნიდან ჩააწოდა, ვესტერმანი ბურთს ვერ შესწვდა და ეულად დარჩენილ კონეს გატანა არ გასჭირვებია. ტაიმის ბოლოს კვინ კურანიმ სხვაობა ისევ ორამდე გაზარდა და მასპინძლებმა მეორე ნახევარი მეტწილად ბურთის გორებაში გაატარეს.

„ეს არა მარტო ჩვენი გუნდის, არამედ მთელი გერმანიის უდიდესი გამარჯვებაა“ — თქვა კურანიმ, რადგან სამი ბუნდესლიგური კლუბიდან მხოლოდ „შალკემ“ შეძლო მერვედფინალში გასვლა. „ფანტასტიკური ამბავია — ხარობდა მირკო სლომკა — ზეიმის სრული უფლება გვაქვს და შეგვიძლია, ბუნდესლიგის მომდევნო ტურის მატჩი ცოტა ხნით დავივიწყოთ“.

**ჩელსი 0:0 ვალენსია**
**ჩელსი:** პ. ჩეხი, პ. ფერეირა (ბელეტი 72), ტერი, ბენ ჰაიმი, ბრიჯი, რაიტ-ფილიპსი, ესიენი, ლამპარდი (ჯ. კოული 62), ს. კალუ, შევჩენკო (მაკელე 46), კ. პიზარო
**მწვრთნელი:** ავრაამ გრანტი
**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი (ფერნანდესი 65), ალბიოლი, ელგერა, მორეტი, სანი, მარჩენა, დ. სილვა, ვისენტე (მატა 75), ვილია (არისმენდი 50), მორიენტესი
**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი
**გაფრთხილება:** კანისარესი
**მსაჯი:** გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)
40 000 მაყურებელი

„ვალენსიამ“ არ წააგო, მაგრამ ზედიზედ მეხუთე შეხვედრაში (პრიმერასა და ჩემპიონთა ლიგაში) გოლი ვერ გაიტანა. „ჩელსის“ წაუგებელი სერია კი „სტემფორდ ბრიჯზე“ 50 მატჩამდე გაიზარდა. მასპინძლები თამაშ-თამაშ სჯობნიდნენ მეტოქეს. მეორე ტაიმში ბურთი ორჯერ ხარიხას გაარტყეს, მაგრამ სანტიაგო კანისარესის კარში ვერ შეაგდეს. „ლამურების“ მეკარემ შესვენებამდე ფრენკ ლამპარდს ჯერ ფეხით, მერე კი თავით დარტყმული აუღო. სტუმართაგან დავიდ ვილიამ ერთხელ „გაისროლა“ და ბურთი ჩეხმა მოიხელთა.

შესვენების შემდეგ სალომონ კალუმ გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს. 74-ე წუთზე მასვე ჰქონდა კარგი მომენტი და ხუთიოდ მეტრიდან ჩარჩოს დაუმიზნა. კანისარესმა ბოლოს ბელეტისა და ჯო კოულის დარტყმულები მოიგერია. „სულ მცირე, 5:0-ს მაინც ვიმსახურებდით“ — თქვა ავრაამ გრანტმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 12 |
| შალკე | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ვალენსია | 6 | 1 | 2 | 3 | 2:6 | 5 |

# მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2007
# მური ოლა ოგუნბიის თვალი


მატჩის ბედი კარდოზოს (მარცხნივ) გოლმა გადაწყვიტა

**„ეს იყო** ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი კლუბის ისტორიაში — თქვა დამარცხებულთა მწვრთნელმა ბერტრან მარშანმა — „ბოკა ხუნიორსი“ დიდი გუნდია და თითქმის ტოლსწორად ვეთამაშეთ. მათ გოლის გატანა არაფრისგან, კლასის ხარჯზე შეუძლიათ და ამიტომაც წავაგეთ“.

„ეტუალის“ მთავარი ნახევარმცველი მური ოლა ოგუნბიი მეათე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. მას თვალში მეტოქის ხელი მოხვდა და თამაში ველარ გააგრძელა. „ბოკამ“ თავიდანვე შეუტია კლასით დაბალ მეტოქეს, მაგრამ ამ იერიშებმა მხოლოდ ორი ყვითელი ბარათი მოუტანა — ვარგასი და სებასტიან ბატალია უხეშობისთვის გააფრთხილეს. ნახევარი საათის თავზე კლაუდიო მორელს შეეძლო გატანა და ააცილა, ამ მომენტიდან შვიდ წუთში კი ნერი კარდოზომ როდრიგო პალასიოს პასი შეირგო და ბურთი ბალბულის კარში შეაგდო. ტაიმის მიწურულს ტუნისელ ხერმითის ჰქონდა მომენტი, მაგრამ „ბოკა“ მცველმა იხსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქეებმა თავურები გაცვალეს. პალეტას და ჯეზალის დარტყმულები არაზუსტი გამოდგა. ამის მერე კი ფაბიან ვარგასი გააძევეს, ბენ დიფალაჰთან უხეშობისთვის ბაირესელებს კაცნაკლულობა არ დასტყობიათ და კვლავაც უტევდნენ, მაგრამ ხან სიზუსტე აკლდათ, ხან ბალბული ყოჩაღობდა.

„ჩემი აზრით, ვარგასი წითელ ბარათს არ იმსახურებდა — განაცხადა „ბოკას“ თავკაცმა მიგელ ანხელ რუსომ — ათი კაცითაც კარგად ვითამაშეთ. „მილანი“ ალბათ „ურავას“ მოუგებს და ფინალში შეგვხვდება, მაგრამ თამაშის ხარისხი უნდა გავაუმჯობესოთ, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში“.

მეორე ნახევარფინალი, „მილანი“ — „ურავა“ დღეს გაიმართება, ფინალი კი კვირას — იოკოჰამაში. იტალიელებს ტრავმის გამო რონალდო ვერ დაეხმარება.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ნახევარფინალი**

**ეტუალ დუ საჰელი (ტუნისი) 0:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**
0:1 კარდოზო (37)
**ეტუალ დუ საჰელი:** ბალბული, ჯეზალი, ფალაჰი, ხერმითი, მერიაჰი, ფრეჯი, საკო (ბენ დიფალაჰი 56), ტრაუი (ჟილსონ სილვა 75), ნაფთა, ნარი, ოგუნბიი (ჯარბი 10)
**მწვრთნელი:** ბერტრან მარშანი
**ბოკა ხუნიორსი:** კარანტა, იბარა, მაიდანა, ფ. ვარგასი, პალეტა, მორელი, ბანეგა (მ. ლედესმა 90), ბატალია, პალასიო (ბოზელი 90), პალერმო, ნ. კარდოზო (ა. გონსალესი 68)
**მწვრთნელი:** მიგელ ანხელ რუსო
**გაფრთხილება:** ვარგასი (16), სებასტიანი (20), ჯარბი (21), ვარგასი (65), მერიაჰი (78), პალერმო (90), ნარი (90)
**გაძევება:** ვარგასი (65)
**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
37 255 მაყურებელი

**დღეს**
**ურავა რედსი (იაპონია) — მილანი (იტალია)**


მასიმო მორატი

# ინტერმა იანვრის ფანჯარა დახურა

**მილანის** „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ დაადასტურა, რომ სერია A-ს პირველი წრის დასრულების შემდეგ, კლუბის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, „ნერაძურის“ სატრანსფერო გეგმებს განიხილავს. თუმცა ისიც თქვა, ახალი ფეხბურთელების დამატებაზე მომავალი ზაფხულისთვის ვფიქრობთ, იანვარში არავინ გვჭირდებაო.

„სატრანსფერო გეგმებზე 23 დეკემბრის მერე ვილაპარაკებთ, მაგრამ ეს საუბარი მომავალი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარას შეეხება და არა იანვრისას. კლუბის ექიმებს ვესაუბრე და მათ მითხრეს, რომ ერთადერი რეალური პრობლემა ოლივიე დაკურია. იმედია, სხვა მხრივ ტრავმები სერიოზულ პრობლემას არ შეგვიქმნის. აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მწვრთნელ რობერტო მანჩინის და, რასაკვირველია, ფეხბურთელებს. ბიჭები ყველაფერს კარგად აკეთებენ და მუდამ ბოლომდე იხარჯებიან, შედეგიც სახეზეა. მთავარია, ასე გავაგრძელოთ და მიზნებსაც მივაღწევთ“ — განაცხადა მორატიმ.

„ინტერის“ ტექნიკური დირექტორი მარკო ბრანკა: „ნამდვილად არ მგონია, იანვრის სატრანსფერო ვაჭრობებში ჩართვა მოგვიხდეს. ჟულიო მი ცეზარი და ევერ ბანეგა ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, თუმცა პერსპექტიული ახალგაზრდები ჩვენც გვყავს, მაგალითად ფრანჩესკო ბოლცონი გვინდა, საკუთარი დიდი ტალანტი ავზარდოთ, როგორც ჯუზეპე ბერგომი. რაც შეეხება რონალდინიოს, „ინტერი“ მისთვის აუქციონში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს“.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# პირველი ბერძნული და პირველი ბერნარდო

**C ჯგუფი**

**რეალი 3:1 ლაციო**

**1:0 ბაპტისტა (13), 2:0 რაული (15), 3:0 რობინიო (36), 3:1 პანდევი (80)**
**რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, პეპე, მარსელო, ჟ. ბაპტისტა, მ. დიარა, სნეიდერი (რობენი 46), რობინიო (გუტი 46), რაული, ვან ნისტელროი (გ. იგუაინი 73)**
**მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი**
**ლაციო: ბალოტა, სკალონი, სივილია, კრიბარი, ძაური, მუდინგაი, კ. ლედესმა (ბარონიო 46), მუტარელი, მეგნი (მანფრედინი 63), პანდევი (მაკინვა 81), როკი**
**მწვრთნელი: დელიო როსი**
**მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)**
**65 000 მაყურებელი**

**დილემადქცეულ** C ჯგუფში „რეალმა“ ინჩასობა ბოლო ტურამდე ანერვიულა, თუმც „ლაციოსთან“ სამერვედფინალო ომში გვარიანად ივაჟკაცა. ჟულიო ბაპტისტამ მეცამეტე წუთზე ჩახვეული დარტყმით გახსნა ანგარიში, მცირე ხნის შემდეგ რაულმა მეორე გოლი გაიტანა, ხოლო შესვენებამდე რობინიომ მადრიდი მესამედ გაახარა. მეორე ტაიმში პანდევმა იტალიელთა ერთადერთი გოლი შეაგდო, იკერ კასილიასმა კი მსაჯის მიერ დამატებულ დროში პეპეს გამო დანიშნული პენალტი მოიგერია.

თამაშის წინ ესპანურმა მედიამ „ლაციოსთან“ ჯახს „ბერნდ შუსტერის პირველი რეალური ფინალი“ უწოდა. თავად „ბერნარდო“ კი რომაელებთან ამას წინათ „ბილბაოს“ გამამწარებელ შემადგენლობას ენდო. მწვრთნელმა ოდენ ერთი ცვლილება განახორციელა, მარსელოს ნაცვლად მიგელ ტორესი შეუშვა მოედანზე. გუტი კვლავ სათადარიგოებში გახლდათ, ძირითადში მობურთავე ბაპტისტას კი თავის გამოჩენის საშუალება მიეცა — კასტილიელთა პირველი გოლი ხომ „მხეცმა“ შეაგდო.

იქამდე, მეცხრე წუთზე, „ბაბუა“ მარკო ბალოტას კარის ძელს ბურთი რაულმა დააჭედა. მერე კი ბაპტისტას დრო მოვიდა და „ბერნაბეუზეც“ საგოლე ფიესტა აკაშკაშდა.

გადის ორი წუთი და „ლაციოს“ 43 წლის გოლკიპერის ჯალათი უკვე სამეფო თეთრების კაპიტანია. სნეიდერმა კუთხური მოაწოდა, რობინიომ რაული შენიშნა დროულად და ამ უკანასკნელმა ბალოტას კარი თავური დარტყმით დალაშქრა. ეს რაულისთის 59-ე საევროტურნირო გოლია, რაც მხოლოდ გრანდებს ხელეწიფებათ.

მადრიდელთა ბატონობა აშკარა იყო და „ლაციოც“ მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომში სამარცხვინოდ კარამოვსებული არ დაბრუნებულიყო. თუმც დელიო როსის შეგირდებმა შესვენებამდე ათი წუთით ადრე რობინიო ვერ შებოჭეს და ანგარიში 3:0 გახდა.

თამაშის მეორე ნახევარში „ბერნარდომ“ შეცვლებს მიმართა და მინდორზე სნეიდერის და რობინიოს ნაცვლად გუტის და რობენს უხმო. თუმცა მატჩის სცენარი არ შეცვლილა, მოიერიშენი მადრიდელები იყვნენ, „ლაციო“ კი კვლავ დაცვაში იყო ჩაკეტილი.

არიენ რობენს ორჯერ უნდა გაეტანა, მაგრამ პირველი ეპიზოდისას „ბაბუამ“ ივაჟკაცა, მეორედ კი ჰოლანდიელის გასროლამ სტუმართა კარის ძელს ზევიდან გადაუფრინა.

მატჩის მიწურულს „რეალი“ მოდუნდა და ამით მომხვდურებმა ისარგებლეს. როკი-პანდევის კომბინაცია მაკედონიელის გოლით დასრულდა, თუმცა ამან „ლაციოს“ მცირედით მოუოხა გული — „ლაციო“ ხომ ჯგუფის აუტსაიდერად ჩარჩა და ამ სეზონში ევროტურნირებს გამოეთიშა.

იტალიელებს ანგარიშის უფრო შემცირების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ იკერ კასილიასმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. იკერმა როკის პენალტი მოიგერია და რომაელ ფორვარდს დამატებაზეც აჯობა.

„რეალი“ საჩემპიონთალიგო ჯგუფს ლიდერად ტოვებს. მსგავს წარმატებას მადრიდელებმა ბოლოს, 2003-04-ის სეზონში მიაღწიეს.


პირეოსელებმა პირველი მერვედფინალი ფიესტათი აღნიშნეს

**ოლიმპიაკოსი 3:0 ვერდერი**

**1:0 სტოლტიდისი (12), 2:0 კოვაჩევიჩი (70), 3:0 სტოლტიდისი (74)**
**ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ჟევლაკოვი, ანცასი, პანტოსი, პაცაცოღლუ (მენდრინოსი 24), რ. ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი (ნუნიესი 85), კოვაჩევიჩი (მითროღლუ 82), ლუა ლუა**
**მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი**
**ვერდერი: ვიზე, ფრიცი, ბაუმანი (ტოშიჩი 82), ნალდო, პასანენი, იენსენი, ვრანიეში (მუნტი 58), ბოროვსკი, დიეგო, როზენბერგი, სანოგო (უგო ალმეიდა 67)**
**მწვრთნელი: თომას შააფი**
**გაფრთხილება: ანცასი, როზენბერგი, იენსენი, მითროღლუ**
**მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)**
**25 000 მაყურებელი**

**„ოლიმპიაკოსი“** თავის ისტორიაში ლიგის მერვედფინალში პირველად გავიდა. ბერძნებმა „გეორგიოს კარაისკაკისზე“ ბრემენის „ვერდერი“ გაანადგურეს, ხოლო მატჩის გამორჩეული კაცი მასპინძელთა მხრიდან ორი გოლის ავტორი სტოლტიდისი გახლდათ.

გერმანულ კლუბს ახლა ნუგეშად უეფა დარჩა. „ბრემენს“ ქალაჩუნობას ვერავინ დასწამებს, მაგრამ თომას შააფის ბიჭები ადგილობრივი ფანობის ველური ღრიანცელის ფონზე ისე ხელფეხშებორკილები ჩანდნენ, რომ ალემანურმა გაზეთებმა ჯავრიანად აღნიშნეს, „ვერდერი“ ალბათ „კარაისკაკისის“ ჯოჯოხეთურმა ხმაურმა შეაშინაო.

სტოლტიდისმა კი თამაშის დასაწყისში ცაცია ზუსტად მოიქნია და ულამაზესი გოლი გაიტანა. სიტუაცია „ბრემენისთვის“ მძიმე გახდა, თუმცა სტუმრებმა გადარჩენა ვეღარ მოახერხეს. მატჩის მეორე ტაიმში ჯერ დარკო კოვაჩევიჩმა გამოიჩინა თავი და საამსეზონო ლიგაში მესამე გოლი შეაგდო, მერე კი გერმანელთა განადგურებას წერტილი ისევ სტოლტიდისმა დაუსვა.

**ლადო ხომერიკი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:9 | 11 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| ვერდერი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:13 | 6 |
| ლაციო | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |

# კასანოს დიეტა და ევრომიზანი



**ანტონიო კასანო** ნელ-ნელა ფორმაში დგება და მასზე უფრო და უფრო მეტს ლაპარაკობენ. 25 წლის იტალიელი მადრიდის „რეალს“ კვლავაც ეკუთვნის, მიმდინარე სეზონში იჯარის წესით „სამპდორიაში“ თამაშობს და ეტაპობრივად იპყრობს გენუელთა ფანების გულებს.

„სეზონის დაწყებიდან დღემდე 7 კილო დავიკელი. ეს არის დიეტის, ბევრ რამეზე უარის თქმისა და კონცენტრაციის დამსახურება. ადრე სათანადოდ არ ვვარჯიშობდი, თამაშისას კუნთები მტკიოდა და ვმძიმდებოდი, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი მწყობრში დგება და ეს ძალიან მახარებს“ — განაცხადა „ხულიგანმა“.

„სამპდორიაში“ კასანოს განსაკუთრებულ პირობებს უქმნიან და მისი დიდი იმედი აქვთ. რთული ხასიათის ფეხბურთელს ჯერჯერობით მშვენიერი ურთიერთობა აქვს გენუელთა მწვრთნელ ვალტერ მაცარისთან.

ანტონიო კასანო: „მაცარი უბრალოდ კარგი მწვრთნელი კი არა, ჩინებული ადამიანია. მას ფეხბურთელებთან ურთიერთობები არ ეშლება, იცის, როგორ მოგვცეს შენიშვნები თუ რჩევები. მაცარი მაქსიმალურ თავისუფლებას მაძლევს და მაგრძნობინებს, რომ გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი ვარ, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მატჩამდე მწვრთნელს ყოველთვის ვეთანხმები. შეთანხმებულები ვართ, რომ თუ თამაშის დროს დავიღლები, შეცვლას მაშინვე მოვითხოვ. ასე რომ, მწვრთნელთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს, „სამპდორიაშიც“ კარგი ატმოსფეროა“.

ახლახან, ფაბიო კაპელომ თქვა, თუ კასანო ასე გააგრძელებს, კარგი იქნება და იმედია, ნაკრებშიც ისევ მიიწვევენ ევრო 2008-ისთვის, რადგან იტალიაში ასეთი ნიჭიერი მოთამაშე არცთუ ბევრიაო. ევრო 2008-ზე მოხვედრა თავად ანტონიოს მთავარი მიზანიცაა.

„ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს ნაკრების მწვრთნელ რობერტო დონადონისთანაც — აგრძელებს კასანო — მან საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები აკრიტიკებდნენ. სწორედ გასამხნევებლად გავუგზავნე მას მისალოცი მესიჯი, როცა „სკუადრა აძურამ“ ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე გასვლა გაინაღდა და არა იმიტომ, რომ „ქულები ჩამეწერა“. ქლესობა არავისთან მჩვევია. ჩემთვის მთავარია, კარგ ფორმაში ვიყო და სათანადოდ ვითამაშო. საკუთარი შესაძლებლობები ვიცი და თუ ჯანმრთელად ვიქნები, არა მგონია, პრობლემები შემექმნას. ხოლო დამიძახებს თუ არა დონადონი ნაკრებში, ეს მისი გადასაწყვეტია. გარწმუნებთ, რობერტო არჩევანს ჩემი თამაშის მიხედვით გააკეთებს და არა ჩვენს კარგ ურთიერთობაზე დაყრდნობით“.

**გიორგი ქაქაბაძე**


კრისტიანო დონი

# დისციპლინა სერიაში

**სერია A-ს** წინა ტურში „იუვენტუსთან“ ბოლო წუთებზე გაშვებული გოლით დამარცხებული „ატალანტას“ ლიდერი კრისტიანო დონი ლეგა კალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

გამოცდილ პლეიმეიკერს მსაჯების მიმართ ბილწი სიტყვები არ დაუშურებია და ტურინელებთან მატჩის შემდეგ არბიტრთა ოთახის კარისთვის ფეხიც მოურტყამს. დონის დაახლოებით 3 ათასი ევროს ჯარიმის გადახდაც დააკისრეს.

ლიდერი ორი მატჩით „კატანიამაც“ დაკარგა — ჯონათან სპინეზიმ დისკვალიფიკაცია „ლაციოსთან“ შეხვედრისას ასევე მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის „დაიმსახურა“.

სადისციპლინო კომიტეტმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა 7 ფეხბურთელი, რომლებსაც შესაბამისად მე-16 ტურის გამოტოვება მოუწევთ: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ეზეკიელ ლავეცი (ნაპოლი), მირკო სავინი (ნაპოლი), პაოლო სამარკო (სამპდორია), ფაბიო სიმპლიციო (პალერმო), როდრიგო ტადეი (რომა) და სიმონე ვერგასოლა (სიენა).

კვლავ ვერ ისვენებენ „ნაპოლის“ ფანები, რომელთა გარკვეული ნაწილიც „პარმასთან“ მატჩისას სტუმარ ფეხბურთელებს თვალებში ლაზერს ანათებდა. ამის გამო ნეაპოლური კლუბი დაახლოებით 15 ათასი ევროთი დააჯარიმეს.

**კოკი კანდელაკი**

# ფაბიომდე პიერფილიპო

**ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ინგლისის ნაკრების საჭეს სახელგანთქმული ფაბიო კაპელო ჩაიბარებს. ყოველ შემთხვევაში, მისი ვაჟი და პირადი აგენტი, პიერფილიპო კაპელო უკვე ლონდონშია და ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელ ბრაიან ბარვიკთან შესახვედრად ემზადება. კაპელო-უმცროსისა და ბარვიკის მომავალი შეხვედრის თემა საიდუმლო აღარ არის — საქმე ხომ ინგლისის მთავარი საფეხბურთო გუნდის მომავალი დამრიგებლის ვინაობას ეხება...**



ფაბიო კაპელო და დევიდ ბექჰემი: მადრიდის მერე ინგლისის ნაკრები?

## მადრიდული ამბავი ავეჯის გადაზიდვისა

**პირველსავე** დღეს, როდესაც ინგლისში ხმა დაირხა, ფაბიო კაპელო ჩვენი ნაკრების მწვრთნელი გახდებაო, „სანმა“ იტალიელ სპეციალისტს წარმატება უსურვა და პასუხმაც არ დააგვიანა: გმადლობთ მხარდაჭერისთვის — ასეთი იყო „რეალის“ ყოფილი თავკაცის რეაქცია.

ინგლისურმა გაზეთმა არც აცია, არც აცხელა და ჩანთების ჩალაგებით დაკავებულ იტალიელს ესპანეთის დედაქალაქში ჩააკითხა. და როგორ დახვდათ კაპელო? „სანის“ ჟურნალისტები არ მალავენ, რომ მსოფლიოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, კაპელოსგანაც, სხვების მსგავსად, დამალვას და კომენტარებისთვის თავის არიდებას ელოდნენ, მაგრამ ჰოი, საოცრებავ: სახელგანთქმულ მწვრთნელს ასეთი არაფერი ჩაუდენია. არადა, ვითარება მართლაც უხერხული ყოფილა — კაპელოს სახლთან ავეჯის გადაზიდვის სერვისი იდგა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, იტალიელს ჟურნალისტებისთვის თავის არიდება არ უცდია. პირიქით, ფოტოების გადაღებაზე სიამოვნებით დათანხმდა და არც გამოლაპარაკება იუცხოვა.

„გამარჯობა, ფაბიო. რა ისმის ინგლისთან დაკავშირებით?“ — ჯიქურ და, სხვათაშორის, ინგლისურად უკითხავს ჟურნალისტ ერიკ ბიუჩემპს.

კაპელოსაც ინგლისურად უპასუხია: „აი, ხომ ხედავთ, სახლიდან გადავდივარ, მაგრამ ოფიციალურად ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. თუნდაც უბრალოდ იმიტომ ვერ გეტყვით, რომ არაფერი ვიცი. მერედა, გთხოვთ, სწორად გამიგოთ, ახლა თქვენთან საუბარი რომ დავიწყო, ჩემი მხრიდან ძალიან დიდი შეცდომა იქნება. თან, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩემზე მეტი თქვენ იცით“.

ჟურნალისტებმა, რომელთაც „შესაძლოა კაპელოზე მეტი იცოდნენ“, მწვრთნელს უთხრეს, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სიაში ჩამოწერილ ადამიანთაგან უმთავრესი კანდიდატი ახლა სწორედ ის არის, ხოლო ნაკრების ახალი მწვრთნელის ოფიციალურად დასახელებას კვირის ბოლოს ელიან.

და ისევ ჟურნალისტი: „თუ ინგლისის ნაკრებს ჩაგაბარებენ, გუნდი საიმედო ხელში აღმოჩნდება. „სანის“ რედაქციის სახელით მინდა წარმატება გისურვოთ“.

„გმადლობთ მხარდაჭერისთვის“ — იყო პასუხი. ამის შემდეგ კაპელომ ინგლისელ ჟურნალისტს ხელი ჩამოართვა და აეროპორტისკენ გაეშურა.

ცნობისათვის: ფაბიო კაპელომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფებთან მოლაპარაკების გამო იტალიის ტელევიზიასთან დადებული კონტრაქტს უღალატა და ნაცვლად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგაში „რომა“ — „მანჩესტერის“ თამაშზე წასულიყო, ლონდონს გაეშურა.

იტალიელი მწვრთნელი ინგლისის ნაკრების თავკაცობის ნომერ პირველი ფავორიტი მას მერე გახდა, რაც მადრიდის ერთ-ერთ რესტორანში ოჯახთან და მეგობრებთან ერთად სადილობის დროს შეიტყო, რომ ჟოზე მაურინიუმ, პოლიტიკური ტერმინით რომ ვთქვათ, თავისი კანდიდატურა მოხსნა.

„ის ძალიან მშვიდად იყო, თუმცა არ მალავდა, რომ ინგლისის ნაკრების თავკაცობა სურდა და ეგონა, რომ ამ თანამდებობას მაურინიუს მისცემდნენ — თქვა ერთ-ერთმა მეგობარმა — ახლა, როდესაც ჟოზე ჩამოშორდა, ფაბიო თავის ბედს ბოლომდე ცდის, რადგან არ უნდა მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პოსტი ხელიდან გაუშვას“.

მადრიდული თავგადასავლის მოყოლის შემდეგ „სანი“ მკითხველს შეახსენებს, რომ კაპელოს ოთხ სხვადასხვა კლუბში ცხრაჯერ მოუგია ამა თუ იმ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

ფაბიო კაპელოს ვაჟი პიერფილიპო: „ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მამაჩემი ინგლისის ნაკრების მწვრთნელობას ეშურება და ფეხბურთის ასოციაციის შეთავაზებასაც ელოდება. ფაბიოსთვის ინგლისის ეროვნული გუნდის გაძღოლა უდიდესი პატივია. თუ თანამდებობას მიიღებს, ბედნიერი იქნება“.

შეგახსენებთ, რომ თუ კაპელო ინგლისის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში, მისი ასისტენტი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჯანფრანკო ძოლა გახდება.

**ბაჩუნა ბედია**

## ზეედორფის მონაყოლი

**კლარენს ზეედორფი** ის კაცია, ვინც თანამედროვე ჰოლანდიელ ფეხბურთელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილთაგანი გახლავთ და უნიკალური შედეგისთვისაც მიუღწევია — ჩემპიონთა ლიგა სამ სხვადასხვა კლუბში აქვს მოგებული. გარდა ამისა, ზეედორფი ინგლისელი ქომაგებისთვის გახლავთ მეტად საინტერესო. საქმე ის არის, რომ მას ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით უმუშავია და იტალიელ მწვრთნელს დიდ პატივს სცემს. იტალიელი მწვრთნელი და ჰოლანდიელი ფეხბურთელი 90-იანი წლების მადრიდის „რეალში“ იყვნენ ერთად.

გთავაზობთ ყოფილი დამრიგებლის ზეედორფისეულ დახასიათებას, რომელიც ფართო საზოგადოებას BBC-მ წარუდგინა.

...საკმაოდ როყიო კაცია, პირში მთქმელი და საქმისადმი თავდადებული. მისი ხელმძღვანელობით ათი წლის წინ ვთამაშობდი და ფაქტია, დღეს მაშინდელზე გაცილებით გამოცდილი და კიდევ უფრო დახვეწილი იქნება. ის ერთ-ერთი საუკეთესოა იმ მწვრთნელთაგან ვინც ოდესმე მინახავს და ვის შესახებაც ოდესმე მსმენია.

...ინგლისის ნაკრების შესახებ კაპელოს დაახლოებით ორი კვირის წინ ველაპარაკე. აშკარად შევატყე, რომ ამ გუნდის მწვრთნელის თანამდებობა მისთვის დიდი გამოწვევაა. ვფიქრობ, მისი დანიშვნით მოიგებს ინგლისის ეროვნული გუნდიც.

...როგორც მოგახსენეთ, ინგლისის გაწვრთნა და ამ გუნდთან ერთად წარმატების მიღწევა მისთვის დიდი გამოწვევაა. კაპელოს ერთ-ერთი მთავარი თვისება კი ფეხბურთელებისგან საუკეთესოს გამოწურვა გახლავთ. მის ხელქვეით უკლებლივ ყველა მთელი ძალითა და ღონით ცდილობს დასახული მიზნის მიღწევას. მას ყოველთვის მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი რა უნდა და ფეხბურთელებსაც მეტად მკაფიოდ აძლევს დავალებებს. ხანდახან ის მართლაც ბოლო ამოსუნთქვამდე წურავს თავის მოთამაშეებს, მაგრამ მოგვიანებით, როგორც წესი, მტკიცდება, რომ ცამდე მართალი იყო.

...თამაშისადმი დამოკიდებულება? მოედანზე ყოველთვის 100 პროცენტს ითხოვს, თუმცა მოედნის მიღმა ყველაზე მომთხოვნ ადამიანთა კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნება. მაგალითად, მას თავისუფლად შეუძლია ფეხბურთელებთან ერთად სასტუმროში დაჯდეს და ლუდი დალიოს. მახსოვს, მისი ხელმძღვანელობით რომ ვთამაშობდი, ვარჯიშებზე განსაკუთრებულ სიმკაცრეს ავლენდა. მისი დამოკიდებულება გასაგებია: გუნდში ნიჭიერისა და ზარმაცის ყოლას უჯობს შედარებით სუსტი, მაგრამ თავდადებული მოთამაშეები ჰყავდეს. მეორე მხრივ, ის მეტად გამოცდილია ვარსკვლავებთან ურთიერთობაში.

...ინგლისური? ვიცი, რომ ახერხებს, მაგრამ რამდენად თავისუფლად, ამას ვერ გეტყვით. ერთში დარწმუნებული ვარ, კაპელო ძალიან ჭკვიანი ადამიანია და მწამს, ენის ბარიერსაც გადალახავს. კარგად მახსოვს, ესპანეთში რომ ჩამოვიდა, პირველი თვის განმავლობაში საკმაოდ ცუდად ლაპარაკობდა, თუმცა მას ჟესტების ენა ეხერხება საუცხოოდ და მგონი ამის შესახებ ყველამ იცის.

**ბაჩუნა ბედია**

## შეხმატკბილებულნი

### ბებერი, გამოცდილი და ტრიუმფატორი!

**იცოდეთ:** ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი ინგლისის ნაკრების თავკაცის თანამდებობაზე მხარს ფაბიო კაპელოს კანდიდატურას უჭერდნენ. უცნაურია, არა? პრემიერლიგის ცქერაში მართლა გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყნად არ არსებობს საკითხი, რომლის გამოც „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ მწვრთნელთა აზრები ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ შევმცდარვართ.

შეგახსენებთ, რომ იტალიელი სპეციალისტის აქციებმა ჟოზე მაურინიუს გვერდზე გადგომის შემდეგ აიწია — „ჩელსის“ ყოფილმა თავკაცმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ინგლისელთა ეროვნულ გუნდს არ უხელმძღვანელებს.

„იმისათვის რომ ნაკრებს გაუძლვე, ზურგს ასაკი და გამოცდილება უნდა გიმაგრებდეს — განმარტა თავისი დამოკიდებულება სერ ალექსმა — კიდევ აუცილებელია ზეწოლის გაძლება შეგეძლოს, კაპელო კი ამ ყველაფრით დაჯილდოვებული გახლავთ. ბოლოს და ბოლოს, რა არის მთავარი ამოცანა? მთავარია, გამოიძებნოს კაცი, რომელიც ინგლისის ეროვნულ გუნდს წარმატებებს მოუტანს, საამისო კანდიდატების სიუხვით კი ვერ დავიკვეხნით. ჩვენ გარანტირებული წარმატება გვჭირდება, რისთვისაც უნდა მოვიყვანოთ მწვრთნელი, რომელსაც გამარჯვება ეხერხება და სულერთია, ის აღგილობრივი იქნება, შოტლანდიიდან ჩამოვა თუ მონღოლეთიდან. ახალგაზრდა მწვრთნელებს ფეხბურთელებთან ყოველდღიური მუშაობის მოთხოვნილება აქვთ, შედარებით ასაკოვანთ კი ცხოვრებაში ყველაფერი ნანახი აქვთ. ისინი ყოველ ცისმარე დღეს საწვრთნელ მოედანზე დგომას არ ეშურებიან და ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

ახლა კი არსენ ვენგერის მოსაზრებას გაეცნოთ:

„ფაბიოსთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ დიდებული კანდიდატურაა. მისი ხელმძღვანელობით საქმის საფეხბურთო მხარე ხომ უეჭველად მოგვარდება და, გარდა ამისა, შეგიძლია მშვიდად იყო: ხალხი მტკიცე ხასიათის ხელმძვანელისთვის გყავს ჩაბარებული. მას ყოველთვის ზუსტად აქვს მოფიქრებული, რა უნდა და საკმარისია, თავისი იდეის სისწორეში დარწმუნდეს, რომ უკან აღარ იხევს. ბუნებით ნამდვილი ტრიუმფატორია და საკუთარ ხერხებში ეჭვი არასდროს შეაქვს. ნამდვილი მწვრთნელი მაშინ ხარ, როდესაც დინების წინააღმდეგ შეგიძლია ცურვა, ეს კი დღევანდელ ინგლისში, შესაძლოა, ძალიან საჭირო გამოდგეს. ერთადერთი, რაც მაეჭვებს მისი ინგლისურია. ამ ქვეყანაში ნაკრების მწვრთნელის სამუშაო უდიდესწილად ხომ პრესასთან არის დაკავშირებული“.

ამასობაში კი, როგორც გაირკვა, ინგლისის ნაკრებს ჯონ ტერიმ, შესაძლოა, აღარ უკაპიტნოს. ეს ხმა ფეხბურთის ასოციაციის ოფისიდან გამოვიდა. ინგლისური ფეხბურთის დიდმოხელეებს მოედანზე ტერის ქცევასთან პრეტენზია არ აქვთ, მაგრამ მოედნის მიღმა რაღაც არ მოსწონთ. სადღაც, რაღაც სიტუაციაში იერარქია დაარღვიაო...

თუმცა, საბოლოოდ ყველა იმას ამბობს, რომ კაპიტნის ვინაობა კაპელოს გადასაწყვეტი იქნება.

**ბაჩუნა ბედია**

# ციტატები, ციტატები

## ფაბიო კაპელოს ნათქვამი



**...ჩვენთვის,** მწვრთნელებისთვის სრულიად გაუგებარია, რატომ ვერ მოხვდა ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მაშინ, როდესაც ასეთი ძლიერი მოთამაშეები ჰყავს. როგორ შეიძლება, მაღალი დონის ოსტატებმა ნაკრებში კლუბებისგან ამდენად განსხვავებული ფეხბურთი ითამაშონ. ორი აზრი არ არსებობს, საქმე მენტალურ პრობლემასთან გვაქვს.

...ბრძენმა ხალხმა იცის როდის უნდა შეცვალოს საქმისადმი დამოკიდებულება.

...არასდროს ვჩივი იმას, რაც არ მაქვს. ყოველთვის პოზიტიური განწყობის შენარჩუნებას ვცდილობ.

-გოლის გასატანად მიზანში მორტყმაა საჭირო.

...ჩემზე ამბობენ, რომ როდესაც საქმე ფეხბურთს ეხება, მოთმინებას ვკარგავ. ვფიქრობ, მართალია. მაგიჟებს, როდესაც ჩემს გარშემო ფეხბურთელები, ჟურნალისტები, მსაჯები და კლუბების ხელმძღვანელები სისულელეებს ლაპარაკობენ.

## ფაბიო კაპელოს შესახებ

„კაპელო დიქტატორი იყო. მისთვის ერთადერთი სწორი გზა არსებობდა — მისი ნათქვამი. მას ფეხბურთელებთან დიალოგი ერთხელაც არ უცდია" — ჯანლუიჯი ბუფონი.

„ის არსოდეს ცდილობს, იყოს თავაზიანი. მისთვის სულერთია, რას იტყვიან სხვები. მასთან ურთიერთობა შესაძლოა სასიამოვნო არ არის, მაგრამ თუ მის გუნდში თამაში გინდა, უნდა მოითმინო" — დამიანო ტომაზი.

„მას მეგობრები ფაქტობრივად არ ჰყავს. ის ძალიან მდიდარია და უხეში. წარმოიდგინეთ, ჟოზე მაურინიუ სტეროიდებზე" — ანონიმი.

„კაპელო მთელი თავისი ცხოვრებით ამტკიცებს, რომ კარგი მწვრთნელობისთვის სულაც არ არის საჭირო, იყო კარგი ადამიანი" — პაოლო დი კანიო.

**ბაჩუნა ძიდია**

## ბალდინი დაჯილდოვდა

**იტალიური** „კატანიას" უფროსობამ კლუბის მწვრთნელი სილვიო ბალდინი კარგი მუშაობისვის კონტრაქტის 2009 წლამდე გახანგრძლივებით დააჯილდოვა.

49 წლის სპეციალისტმა „ელეფანტი" გასულ ზაფხულს ჩაიბარა და მუშაობა არცთუ კარგად დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა ვითარება გამოასწორა და ახლა „კატანია" 15 მატჩში მოპოვებული 18 ქულით სერია A-ს ცხრილის შუაგულში თავს მშვენივრად გრძნობს.

## გურკუფს თოფი მიუშვირეს

**ლონდონის** „არსენალი" ახალ ზინედინ ზიდანად წოდებულ იოან გურკუფით ყოფილა დაინტერესებული. ახალგაზრდა ფრანგ ნახევარმცველს „მილანში" საქმე მთლად კარგად ვერ მისდის და შესაძლოა, „სან სიროს" დატოვება ისურვოს. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „მეთოფეები" მზად არიან, გურკუფში 22-23 მილიონი ევრო გადაიხადონ. ფრანგს თურმე პსჟ და „ლანსიც" უტრიალებენ.

## ლუჩესკუმ ლუკარელის მწვანე აუნთო

**ვეტერანი** იტალიელი ფორვარდი კრისტიანო ლუკარელი დონეცკის „შახტარში" თავს არცთუ კარგად გრძნობს და უკრაინული კლუბის რუმინელმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ აღნიშნა — თუ წასვლა უნდა, არავის ვაკავებ, წავიდესო.

„შესაძლოა, სერია A-ში დაბრუნება მისთვის უკეთესი იყოს. კრისტიანომ თავისი საქმე გააკეთა, ჩემპიონთა ლიგაში „შახტარისთვის" გოლე'ი გაიტანა, მაგრამ უკრაინის ჩემპიონატი აბსოლუტურად განსხვავებული სტილის ტურნირია, რომელსაც იტალიელი ჯერ ვერ ეგუება. დონეცკში მძევლად არავის ვიყვანთ, ასე რომ, თუ ლუკარელის წასვლა უნდა, შეუძლია, ეს იანვარშივე გააკეთოს".

## ბობოს ევრო უნდა

**34 წლის** იტალიელ ფორვარდ კრისტიან ვიერის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება და ევრო 2008-ზე წასვლა სურს. შეგახსენებთ, რომ „ბობოს" „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში 49 მატჩში 23 გოლი აქვს გატანილი.

„ნამდვილად ველოდები, რომ ნაკრებში კვლავ გამომიძახებენ. დიდი მადლობა ფაბიო კაპელოს ტკბილი სიტყვებისთვის. მან სწორად თქვა — მე მზად ვარ. მთავარია, რეგულარულად თამაში და გოლების გატანა გავაგრძელო. ამით „სკუადრა აძურაში" ჩემს ადგილს დავიმსახურებ" — თქვა „ფიორენტინას" თავდამსხმელმა.

**გიორგი ძაძამიძე**

# ათლეტური მადა თამაშში მოდის



სერხიო აგერო „ხეტაფესთან" მატჩში გააგდეს და ამან „ატლეტიკოს" დერბიში გამარჯვების სიხარული ოდნავ გაუუფერულა. „ათლეტები" ახლა პრიმერადივიზიონში მესამე ადგილზე არიან. მადრიდული გუნდის პრეზიდენტ ენრიკე სერეზოს „ასი" გაესაუბრა

**— უკვე მესამე ადგილზე გადაინაცვლეთ. ამ სეზონში „ატლეტიკოს" ლიმიტი რა არის?**

— ჯერ მომავალ ტურში უელვაში უნდა გავიმარჯვოთ. აი, „რეკრეატივოსთანაც" თუ მოვიგეთ, მერე უკვე უფრო სერიოზულ მიზანზეც ვიფიქრებთ, ვიდრე საჩემპიონთალიგო ოთხეულში მოხვედრაა. უეფაზეც საქმე კარგად მიდის, კოპა დელ რეის მატჩებიც წინ გველის... ასეთი მონდომებით და აქტიურობით ნებისმიერი ტიტულისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ცას ნუ გამოვეკიდებით, მაგრამ არც მშიშარასავით შინ ჩაკეტვა ივარგებს.

**— „ხეტაფესთან" გიჟური მატჩის დროს ძალიან ინერვიულეთ?**

— არც ისე. რთული შეხვედრა გამოდგა, მეტოქემაც კარგად ითამაშა, მაგრამ მატჩის ბედის გადაწყვეტა პირველ ტაიმშივე შეგვეძლო. მერე კი, აგეროსა და აბონდანსიერის ეპიზოდის შემდეგ, სიტუაცია მთლად დაიძაბა. თქვენს მიერ ნახსენები გიჟური მატჩიც აქედან დაიწყო.

**— სადავო ეპიზოდი ტრიბუნიდან ნახეთ. რას გვეტყვით მსაჯის გადაწყვეტილების შესახებ?**

— ჩემი აზრით, ნაღდი პენალტი იყო. „პატო" აბონდანსიერიმ ბურთი დაავიწყა და აგეროს მხეცივით მივარდა. მსაჯის პირველი რეაქციაც პენალტის დანიშვნა უნდა ყოფილიყო. არბიტრმა კი „კუნს" უცებ ყვითელი ბარათი აუფრიალა, რასაც საერთოდ არ ველოდი. ვთვლი, რომ აგერო იმ მომენტში უსამართლოდ დაისაჯა. ხოლო შემდეგ, როგორც გახსოვთ, ეს ყვითელი ბარათი სერხიოს გაძევებად დაუჯდა. სამწუხაროა, ბიჭს არ უუხეშია და მოედანი მაინც დაატოვებინეს.

**— „უელვასთან" აგეროს მიერ ხელით გატანილი გოლი გავიხსენოთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ მსაჯები „კუნს" ამ ეპიზოდის შემდეგ გადაეკიდნენ?**

— არ ვიცი, ამაზე არბიტრებმა „იზრუნეს", თუ სხვა ვინმემ, მაგრამ „კუნის" გარშემო რომ არასასურველი ორომტრიალია, ამას წყალი არ გაუვა. კი ბატონო, აგერომ გოლი ხელით შეაგდო, მაგრამ მესიც ხომ ასე მოიქცა. რატომღაც ბარსელონელისთვის „აფერისტი" და „სიმულანტი" არავის დაუძახია, პირიქით, მთელი ხმით გაჰყვირიან, ლეო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიაო. რა გაეწყობა, ფეხბურთში ხდება ხოლმე მსგავსი რამ. ალბათ „ატლეტიკოს" ფეხბურთელის ჩაძირვა სურთ, თუმცა არაფერი გამოუვათ.

**— აგეროს გაძევებამ მატჩს ცეცხლი წაუკიდა...**

— მართალია. „ხეტაფეს" ის დაემართა, რაც ადრე ყველა იმ გუნდს, რომლებმაც „ვისენტე კალდერონი" მოინახულეს. რაღაც ძალიან მიეჩვივნენ უცხოები ჩვენი არენიდან ქულების წაღებას, თუმცა ამ სეზონში „ატლეტიკოს" შინ დამარცხების მსურველებს ტაქტიკა დაუძველდათ. ყველაფერი შეიცვალა, წლეულს სხვა გუნდი ვართ.

**— მაგრამ „ატლეტიკოს" ბოლო პერიოდში ასეთი ტიპის არცთუ ბევრ მატჩში გაუმარჯვია...**

— დღევანდელი „ატლეტიკო", როგორც გითხარით, სხვანაირი გუნდია, მატჩის მოგებას შესანიშნავ სტილშიც ვახერხებთ, საშუალო დონეზე თამაშითაც და არცთუ კარგი გარჯითაც კი... „ხეტაფემ" კარგად ითამაშა, სახიფათო ეპიზოდებიც შექმნა, მაგრამ... მათ ფორვარდებს დიდად ვაფასებ, თუმცა რახან დიეგო ფორლანი 22 მილიონ ევროდ ვიყიდეთ, ესე იგი ღირდა ეს კაცი ამ ფასად. მსგავსი თამაშით „ხეტაფე" უფრო მეტ მატჩს მოიგებს, ვიდრე წააგებს. ოღონდ, არა ჩვენთან.

**— თქვენი გუნდის დაცვის ხაზზე რას გვეტყვით? მეოთხე მატჩია, მეტოქეები „ატლეტიკოს" გოლს ვერ უტანენ...**

— დაცვაზე კარგის მეტი რა მეთქმის. საერთოდ, გუნდი მატჩიდან მატჩამდე ძლიერდება. ყველა თავდაუზოგავად იბრძვის, გიჟებივით დარბიან მოედანზე. წარმოიდგინეთ, გუნდში ამდენი ტალანტი გვყავს და მცველი თუ თავდამსხმელი ერთნაირი მონდომებით იბრძვის ბურთის ხელში ჩასაგდებად. არა, ნამდვილად შეგვიძლია დიდ ჯილდოებზე ფიქრი.

# რობინიომ იუვე იუარა




**ბრაზილიის** ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა, ჩინებულ ფორმაში მყოფმა რობინიომ, ვისაც ბოლო დროს „იუვენტუსსა" და სხვა კლუბებს უკავშირებენ, დაადასტურა, რომ თავის დროზე ტურინელებისგან წინადადება მიიღო, მაგრამ უარყო.

„მართალია, „იუვენტუსისგან" წინადადება მივიღე, მაგრამ მაშინ ძალიან ახალგაზრდა, 18 წლის ვიყავი და სამშობლოში დარჩენა ვამჯობინე. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „რეალში" ვთამაშობ" — აღნიშნა რობინიომ.

ფეხბურთელმა, რომელსაც ახალ პელეს ეძახდნენ, თავის თანამემამულეებზეც ისაუბრა — კაკასა და რონალდოზე.

„დღეს კაკა უდავოდ ნომერ პირველია. ბრწყინვალე პიროვნებაა და მისი წარმატება მახარებს. რონალდო ჩემთვის ყოველთვის ფენომენი იქნება. როცა რონალდო საუკეთესო ფორმაშია, მასზე უკეთესად მხოლოდ დიეგო არმანდო მარადონას დასახელება შეიძლება" — თქვა 23 წლის რობინიომ.

**კოკი კანდელაკი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 1 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 19:00 | 2 | ვესტ ჰემი..-ევერტონი.. | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 3 | უიგანი-ბლექბერნი | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 19:00 | 5 | ბირმინგემი-რედინგი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 6 | დერბი-მიდლსბრო | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 21:15 | 7 | ფულემი-ნიუკასლი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 9 | სიტი-ბოლტონი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 19:00 | 11 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 4 | არსენალი-ჩელსი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 17:30 | 8 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 15 | იფსვიჩი-სკანთორპი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 19:00 | 16 | ქპრ-ვულვერჰემპტონი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 17 | უოტფორდი-პლიმუთი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 18 | ბლეკპული-სტოკი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 16:45 | 19 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 2.10 | 3.30 | 3.05 | 1.28 | 1.24 | 1.58 |
| 19:00 | 20 | ბრისტოლი-კარდიფი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 21 | ბარნლი-პრესტონი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 21:15 | 22 | კოლჩესტერი-ნორვიჩი | 2.15 | 3.30 | 2.95 | 1.30 | 1.24 | 1.55 |
| 19:00 | 23 | ქოვენთრი-საუთჰემპტონი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 19:00 | 24 | კრისტალ პალასი-უენსდი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 25 | ჰალი-ლესტერი | 2.15 | 3.20 | 3.05 | 1.28 | 1.26 | 1.56 |
| 19:00 | 90 | შეფილდი-ბარნსლი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 32 | ჩელტენემი-ლუტონი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 26 | პორტ ვეილი-ტრანმერი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 27 | სუონსი-საუთენდი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 28 | სუინდონი-ბრაიტონი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 19:00 | 29 | ბორნმუთი-ჯილინგემი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 30 | უოლსოლი-ლიდსი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 31 | კარლაილი-ლეიტონი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 19:00 | 34 | ჰარტლპული-ქრიუ | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 19:00 | 35 | ჰადერსფილდი-როვერსი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 36 | მილუოლი-ოლდემი | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 37 | ნოტინგემი-ნორთჰემპტონი | 1.50 | 3.60 | 6.40 | 1.05 | 1.21 | 2.30 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 33 | დონკასტერი-იოვილი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 41 | უიკომბი-მორიკომბი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 38 | შრიუსბერი-დაგ ენდ რედი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 19:00 | 39 | რექსემი-ბრენტფორდი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 40 | აკრინგტონი-ჩესტერფილდი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 42 | ბრედფორდი-როტერჰემი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 44 | დარლინგტონი-ჩესტერი | 1.80 | 3.20 | 4.25 | 1.15 | 1.26 | 1.82 |
| 19:00 | 45 | გრიმსბი-მენსფილდი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 19:00 | 46 | ლინკოლნი-ბარნეტი | 2.30 | 3.25 | 2.70 | 1.34 | 1.24 | 1.47 |
| 19:00 | 47 | მაკლსფილდი-სტოკპორტი | 2.25 | 3.25 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.51 |
| 19:00 | 48 | პიტერბრო-დონსი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 49 | როჩდეილი-ნოტსი | 1.75 | 3.35 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.87 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 50 | კილმარნოკი-გრეტნა | 1.55 | 3.40 | 5.45 | 1.06 | 1.20 | 2.09 |
| 19:00 | 51 | მოზერუელი-აბერდინი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 52 | რეინჯერსი-პართსი | 1.40 | 3.70 | 7.90 | 1.01 | 1.18 | 2.51 |
| 19:00 | 54 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 19:00 | 55 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 56 | ინვერნესი-სელტიკი | 7.20 | 3.90 | 1.35 | 2.52 | 1.13 | 1.00 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 58 | კლაიდი-ლივინგსტონი | 2.30 | 3.45 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 19:00 | 59 | ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი | 1.80 | 3.50 | 3.50 | 1.18 | 1.18 | 1.75 |
| 19:00 | 60 | მორტონი-დანდი | 3.05 | 3.45 | 2.00 | 1.61 | 1.20 | 1.26 |
| 19:00 | 61 | პარტიკი-დანფერმლაინი | 2.00 | 3.45 | 3.05 | 1.26 | 1.20 | 1.61 |
| 19:00 | 62 | სტირლინგი-ქუინი | 2.30 | 3.45 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 555 | ეარი-რეითი | 3.25 | 3.60 | 1.90 | 1.70 | 1.19 | 1.24 |
| 19:00 | 556 | ბრეჩინი-ერდრი | 2.85 | 3.45 | 2.10 | 1.56 | 1.20 | 1.30 |
| 19:00 | 557 | კოუდენბითი-ალოა | 2.25 | 3.50 | 2.60 | 1.36 | 1.20 | 1.49 |
| 19:00 | 558 | ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 2.25 | 3.50 | 2.60 | 1.36 | 1.20 | 1.49 |
| 19:00 | 559 | როსი-ბერიკი | 1.35 | 4.30 | 7.25 | 1.02 | 1.13 | 2.69 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 63 | მონტროუზი-ფორფარი | 1.40 | 3.90 | 6.20 | 1.03 | 1.14 | 2.39 |
| 19:00 | 64 | სტრანრარი-სტენჰაუზმური | 1.55 | 3.70 | 4.70 | 1.09 | 1.16 | 2.07 |
| 19:00 | 65 | ალბიონი-არბროთი | 2.70 | 3.45 | 2.15 | 1.51 | 1.19 | 1.32 |
| 19:00 | 66 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 1.25 | 4.75 | 7.95 | 1.00 | 1.08 | 2.97 |
| 19:00 | 67 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2.30 | 3.50 | 2.55 | 1.38 | 1.20 | 1.47 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 104 | კოტბუსი -ჰანოვერი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 18:30 | 100 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:30 | 101 | ჰერტა-ბაიერნი | 5.50 | 3.40 | 1.60 | 2.10 | 1.23 | 1.08 |
| 18:30 | 103 | არმინია-შტუტგარტი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 18:30 | 105 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:30 | 106 | კარლსრუე-ჰამბურგი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:30 | 109 | შალკე-ნიურნბერგი | 1.50 | 3.70 | 6.20 | 1.06 | 1.20 | 2.31 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 107 | ჰანზა-ბოხუმი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 20:00 | 108 | დუისბურგი-აინტრახტი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 115 | კობლენცი-ალემანია | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 21:00 | 117 | ოფენბახი-ოსნაბრიუკი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 21:00 | 119 | ზტ.პაული-მაინცი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 111 | მიონხენგლადბახი-პადერბორნი | 1.30 | 4.10 | 9.20 | 1.00 | 1.13 | 2.83 |
| 17:00 | 112 | ფიურტი-ჰოფენჰაიმი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 17:00 | 113 | მიუნხენი 1860-აუე | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 17:00 | 116 | კარლ ცაისი-აუგსბურგი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 17:00 | 118 | ვეენი-ფრაიბურგი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | 17 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 114 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 122 | მატერსბურგი-აუსტრია | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 120 | რიდი-ტიროლი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 21:00 | 121 | შტურმი-ზალცბურგი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 124 | ალტახი-აუსტრია კერნტენი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 18:30 | 123 | რაპიდი-ლინცერი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 142 | კატანია-უდინეზე | 2.85 | 2.90 | 2.45 | 1.43 | 1.31 | 1.32 |
| 23:30 | 144 | ლაციო-იუვენტუსი | 3.30 | 2.90 | 2.20 | 1.54 | 1.32 | 1.25 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 137 | ტორინო-რომა | 5.00 | 3.15 | 1.70 | 1.93 | 1.26 | 1.10 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 139 | ატალანტა-პალერმო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 23:30 | 140 | კალიარი-ინტერი | 7.50 | 3.70 | 1.40 | 2.47 | 1.17 | 1.01 |
| 18:00 | 143 | ემპოლი-ჯენოა | 2.05 | 3.00 | 3.50 | 1.21 | 1.29 | 1.61 |
| 18:00 | 146 | პარმა-რეჯინა | 1.70 | 3.10 | 4.90 | 1.09 | 1.26 | 1.89 |
| 18:00 | 147 | სამპდორია-ფიორენტინა | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 18:00 | 148 | სიენა-ნაპოლი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 149 | ლეჩე-ალბინოლეფე | 2.00 | 2.80 | 4.00 | 1.16 | 1.33 | 1.64 |
| 19:00 | 150 | პიაჩენცა-ტრიესტინა | 2.20 | 2.75 | 3.50 | 1.22 | 1.35 | 1.53 |
| 19:00 | 151 | რავენა-მოდენა | 2.50 | 2.75 | 2.95 | 1.30 | 1.35 | 1.42 |
| 19:00 | 152 | რიმინი-პიზა | 2.15 | 2.80 | 3.55 | 1.21 | 1.33 | 1.56 |
| 19:00 | 153 | სპეცია-მესინა | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 19:00 | 154 | ტრევიზო-ბარი | 1.95 | 2.80 | 4.30 | 1.14 | 1.34 | 1.69 |
| 19:00 | 155 | ასკოლი-ბრეშა | 2.50 | 2.80 | 2.90 | 1.32 | 1.34 | 1.42 |
| 19:00 | 156 | აველინო-ჩეზენა | 2.10 | 2.85 | 3.65 | 1.20 | 1.33 | 1.60 |
| 19:00 | 157 | ბოლონია-გროსეტო | 1.40 | 3.60 | 9.00 | 1.00 | 1.21 | 2.57 |
| 19:00 | 158 | კოევო-მანტოვა | 1.95 | 2.80 | 4.30 | 1.14 | 1.34 | 1.69 |
| 19:00 | 159 | ფროზინონე-ვიჩენცა | 1.65 | 3.10 | 5.50 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 183 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.30 | 4.60 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 23:45 | 185 | ვალენსია-ბარსელონა | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 178 | ვალიადოლიდი-სევილია | 2.85 | 3.10 | 2.40 | 1.48 | 1.30 | 1.35 |
| 20:00 | 179 | ბეტისი-ალმერია | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 20:00 | 180 | ხეტაფე-ვილიარეალი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 22:00 | 182 | უელვა-ატლეტიკო | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 20:00 | 184 | დეპორტივო-სარაგოსა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 23:45 | 186 | რეალი-ოსასუნა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 20:00 | 188 | მალიორკა-ბილბაო | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 20:00 | 189 | მურსია-რასინგი | 2.45 | 3.10 | 2.85 | 1.36 | 1.31 | 1.48 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 21:30 | 191 | ესიდო-ლას პალმასი | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 21:30 | 192 | ეიბარი-ელჩე | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 21:30 | 194 | კორდობა-ალბასეტე | 1.75 | 3.05 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.81 |
| 21:30 | 196 | სალამანკა-სპორტინგი | 2.75 | 2.95 | 2.45 | 1.42 | 1.29 | 1.33 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 190 | პერკულესი-მალაგა | 2.50 | 2.95 | 2.65 | 1.35 | 1.28 | 1.39 |
| 20:00 | 193 | კასტელონი-სერესი | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 20:00 | 195 | ალავესი-ნუმანსია | 2.85 | 2.95 | 2.40 | 1.44 | 1.30 | 1.32 |
| 20:00 | 197 | ტენერიფე-ფეროლი | 1.90 | 3.00 | 3.85 | 1.16 | 1.27 | 1.68 |
| 20:00 | 198 | გრანადა -სოსიედადი | 2.30 | 2.95 | 2.95 | 1.29 | 1.29 | 1.47 |
| 20:00 | 199 | კადისი-სელტა | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| 15:00 | 200 | სევილია ბ-ტარაგონა | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 203 | ლე მანი-ლორიანი | 1.85 | 3.10 | 4.25 | 1.15 | 1.28 | 1.79 |
| 23:00 | 204 | ლილი-სტ.ეტიენი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 20:10 | 205 | ლიონი-ნიცა | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| 23:00 | 207 | მეცი-სოშო | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| 23:00 | 208 | მონაკო-ლანსი | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 23:00 | 209 | პსჟ-ტულუზი | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 23:00 | 210 | რენი-კაენი | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| 23:00 | 213 | ვალენსიენი-ოსერი | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 201 | ბორდო-მარსელი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 21:00 | 211 | სტრასბური-ნანსი | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 219 | გენკი-ვარეგემი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 216 | დენდერი-სტანდარდი | 5.00 | 3.60 | 1.60 | 2.09 | 1.21 | 1.10 |
| 23:00 | 218 | ბრიუსელი-სერკლი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 23:00 | 220 | ლოკერენი-ვესტერლო | 2.05 | 3.25 | 3.25 | 1.25 | 1.25 | 1.62 |
| 23:00 | 221 | მეხელენი-ბეერსხოტი | 2.75 | 3.25 | 2.30 | 1.48 | 1.25 | 1.34 |
| 23:00 | 222 | მუსკრონი-რუზელარე | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 23:00 | 223 | მონსი-სტ.ტრუიდენი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 16:00 | 215 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2.00 | 3.25 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.66 |
| 21:00 | 224 | შარლერუა-გენტი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 233 | როდა-სპარტა | 1.30 | 4.30 | 8.80 | 1.00 | 1.13 | 2.88 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 235 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 22:30 | 236 | ბრედა-პერენვენი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:30 | 237 | ტვენტე-ვენლო | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| 23:00 | 238 | გრააფსხაპი-ნაიმეგენი | 2.00 | 3.30 | 3.25 | 1.24 | 1.23 | 1.63 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 239 | უტრეხტი-პერაკლესი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 15:30 | 240 | აიაქსი-პსვ | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 17:30 | 241 | ვიტესი-ექსელსიორი | 1.50 | 3.70 | 5.90 | 1.06 | 1.19 | 2.27 |
| 17:30 | 242 | გრონინგენი-ტილბურგი | 1.40 | 3.70 | 7.20 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| | | პორტუგალია | | | | | | |
| | | სუპერლიგა | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 260 | ფერეირა-ბრაგა | 2.80 | 3.10 | 2.35 | 1.47 | 1.27 | 1.33 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 254 | ბელენენსეში-ბენფიკა | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 253 | აკადემიკა-ნასიონალი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 20:00 | 255 | ბოავიშტა-ნავალი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 256 | ამადორა-სეტუბალი | 2.25 | 3.00 | 3.05 | 1.28 | 1.29 | 1.51 |
| 23:45 | 257 | პორტუ-გიმარაეში | 1.30 | 4.50 | 8.80 | 1.00 | 1.13 | 2.97 |
| 20:00 | 258 | ლეიშოეში-ლეირია | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 23:45 | 259 | მარიტიმუ-სპორტინგი | 3.70 | 3.20 | 1.90 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 269 | არისი-ქსანთი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:45 | 274 | ატრომიტოსი-პაოკ | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 21:00 | 276 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 3.90 | 2.90 | 1.95 | 1.66 | 1.29 | 1.16 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 270 | ლევადეიაკოსი-ერგოტელისი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 18:45 | 271 | კალამარია-ლარისა | 2.95 | 2.90 | 2.35 | 1.46 | 1.30 | 1.29 |
| 21:00 | 272 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1.90 | 3.15 | 3.65 | 1.18 | 1.24 | 1.69 |
| 18:45 | 277 | ოფი-ირაკლისი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 17:00 | 278 | ვეროია-ასტერას ტრიპოლისი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 14 დეკემბერი | | | | | | |
| 22:00 | 281 | გალათასარაი-სივასპორი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 16:00 | 282 | გაზიანთეფი-კონია | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:00 | 287 | ტრაბზონი-ისტანბული | 1.65 | 3.50 | 4.65 | 1.12 | 1.21 | 1.99 |
| 16:00 | 288 | ანკარა-რიზე | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 279 | ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ | 1.50 | 3.80 | 5.80 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 16:00 | 280 | დენიზლი-ოფთასპორი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:30 | 283 | გენჩლერბირლიგი-ფენერბაჩე | 4.40 | 3.30 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |
| 16:00 | 285 | კასიმპასა-მანისა | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 16:00 | 286 | კაისერი-ბურსა | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 13 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 93 | კოლო კოლო-უნ ჩილე | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 13 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 546 | ბარსელონა-პარტიზანი | 1.10 | 12.00 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 3.67 |
| 22:15 | 547 | ჟალგირისი-ვ.ბოლონია | 1.20 | 12.00 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 2.58 |
| 23:45 | 549 | ოლიმპია-სიენა | 3.20 | 12.00 | 1.25 | 2.52 | 1.00 | 1.13 |
| 23:30 | 553 | ლე მანი-მაკაბი | 2.40 | 12.00 | 1.45 | 2.00 | 1.00 | 1.29 |
| 23:00 | 554 | რეალი-ფენერბაჩე | 1.10 | 12.00 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 3.67 |
| | | ხელბურთი. | | | | | | |
| | | ქალები მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი | | | | | | |
| | | 13 დეკემბერი | | | | | | |
| 16:00 | 579 | გერმანია-ანგოლა | 1.18 | 10.00 | 5.00 | 1.05 | 1.00 | 3.33 |
| 18:30 | 580 | რუსეთი-უნგრეთი | 1.15 | 10.00 | 6.00 | 1.03 | 1.00 | 3.75 |
| 21:00 | 581 | ნორვეგია-სამხ. კორეა | 1.12 | 10.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 3.75 |
| 23:30 | 582 | საფრანგეთი-რუმინეთი | 3.00 | 10.00 | 1.40 | 2.30 | 1.00 | 1.22 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის | | | | | | |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 13 დეკემბერი | | | | | | |
| 14:30 | 89 | მილანი-ურავა | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| | | შვეიცარია. თასი | | | | | | |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | |
| 20:45 | 94 | თუნი-ციურიხი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 22:30 | 95 | ბაზელი-ნიონაისი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბელინცონა-გოსაუ | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 18:30 | 97 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |

# ჯანი იყოს, დრაფტი იქნება

## ნოემბრის მარკოიშვილი მომავალზე არ ლაპარაკობს

„ჩემი სათამაშო ფორმით ჯერ არ ვარ კმაყოფილი. დაცვაში კიდევ არა მიშავს, მაგრამ შეტევაში ჯერაც ბევრი მაქვს მოსამატებელი და ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობ" — ეს სიტყვები „ბკ კიევის" უკანახაზელმა მანუჩარ მარკოიშვილმა „სარბიელს" ოქტომბერში უთხრა, როცა უკრაინის ჩემპიონატი ახალი დაწყებული იყო. არ გასულა ცოტა ხანი და „მანუ" შეტევაშიც ათამაშდა, რამდენიმე მატჩში მიჯრით კიეველებს ბომბარდირად მოევლინა და გარჯაც დაუფასდა. უკრაინაში ცნობილმა სპორტულმა გაზეთმა „ბალეშჩიკმა" გამოკითხვა მოაწყო და მარკოიშვილი ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. გამოკითხვაში უკრაინული სუპერლიგის მწვრთნელები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. ამ აღიარებამ ქართველისადმი მედიელთა დაინტერესება გამოიწვია და უკრაინულ პრესაში მანუჩართან ინტერვიუები გაჩნდა. საქართველოს ნაკრების წევრს ჩვენც დავუკავშირდით და წარმატება მივულოცეთ, თან ოქტომბერში ნათქვამი სიტყვები გავახსენეთ...



— ოქტომბრის შემდეგ ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ შეიცვალა. ისე დაემთხვა, რომ შეტევაშიც წამივიდა თამაში, გუნდიც იგებდა და ალბათ ამან განაპირობა, რომ ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს.

— რამდენად პოპულარულია გამოკითხვა, რომელშიც გაიმარჯვე?

— გაზეთი „ბალეშჩიკი" ტრადიციულად ყოველ თვეში ავლენს საუკეთესოს. გამოკითხავს ყველა გუნდის მწვრთნელსა და ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს — ასე რომ, ამ ტიტულის კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა ძნელია. ვისაც ყველაზე კარგად ესმის კალათბურთი, რესპონდენტებიც ისინი არიან.

— მწვრთნელისგან და თანაგუნდელებისგან რა რეაქცია მოჰყვა ამ ამბავს?

— მომილოცეს და ეგ იყო. თუმცა ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათი ნდობა გავამართლე. თანაგუნდელებს თავიდანვე სჯეროდათ ჩემი, მაგრამ ახლა ალბათ უფრო დარწმუნდებოდნენ. იგივეს ვიტყვი მწვრთნელზეც, რომელიც შეტევაში ჩემი თამაშით კმაყოფილი არ იყო. ახლა ბურთს რომ მივიღებ, ტომო მაჰორიჩი უფრო მშვიდად იქნება, რადგან იცის, რომ შეტევაც შემიძლია. თანაგუნდელებიც უფრო გაბედულად მომცემენ პასს.

— თვლი, რომ ნოემბერში შენი მაქსიმუმი აჩვენე?

— მინდა ვიფიქრო, რომ ეს არ იყო ჩემი მაქსიმუმი. ძალიან კმაყოფილი ვარ გასულ თვეში ჩემი თამაშით და ვეცდები, ეს რიტმი შევინარჩუნო, რაც საკმაოდ ძნელი იქნება.

— მართლაც, დეკემბერში ცოტა მოუკელი, გუშინ სულაც 6 ქულით დაასრულე ულებ-ის თასზე „ბენეტონთან" წაგებული თამაში...

— ტრავმის ბრალია. ერთი კვირის წინ ულებ-ის თასის მატჩში „არტლენდთან" ფეხი ამომიბრუნდა და ხუთშაბათ-პარასკევის ვარჯიშები გავაცდინე, შაბათს კი ძალიან მსუბუქად ვივარჯიშე და კვირას უკრაინის ჩემპიონატში „ჩერკასკთან" ჩემს თამაშზე ეს ყველაფერი აისახა. მხოლოდ 10 ქულა დავაგროვე და სხვა მაჩვენებლებიც ვერ მქონდა შთამბეჭდავი. წუხელ კი „ბენეტონთანაც" ვერ ვიყოჩაღე, თუმცა მთლიანად გუნდს გაუჭირდა.

— „ბენეტონთან" რომ მოგეგოთ, ულებ-ის ჯგუფიდან გასვლას გაინაღდებდით...

— სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ, მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ვქმნით. „ბენეტონს" პირველ წრეში სტუმრად ვაჯობეთ და ამიტომაც ორმაგად გულდასაწყვეტია კიევში წაგება. ისეთი თამაში იყო, როცა ვერაფერს გააწყობ. იტალიელებმა რაც ისროლეს, ყველაფერი ჩააგდეს. თავიდან 5:0 ვიგებდით, მაგრამ მეტოქემ ერთ წუთში 8 უპასუხო ქულა ჩაგვიგდო და მას მერეც ძალიან იშვიათად აცილებდა.

— ალბათ, უკვე „ბკ კიევის" ლიდერად ითვლები...

— არა, ჩვენს გუნდს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. 7-8 კაცია ისეთი, რომლებსაც მაღალ დონეზე თამაში შეუძლია და ხან ერთი გამოიჩენს თავს და ხან — მეორე. ეს დიდი პლუსია „ბკ კიევისთვის" და ამიტომაც ნებისმიერ მეტოქეს უჭირს ჩვენთან თამაში.

— თვლი, რომ ეს სეზონი შენთვის საუკეთესოა?

— ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან ჯერ ნახევარი სეზონიც არ გასულა. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და ყველაფერი კარგად იქნება.

— ზაფხულში ნბა-ს დრაფტზე დადგომაში ხელი ტრავმამ შეგიშალა. უკვე 22 წლის გახდები და ამ ზაფხულს ბოლო შანსი გაქვს. რას ფიქრობ, შეძლებ დრაფტზე წარმატების მიღწევას?

— არ მინდა წინასწარ ლაპარაკი. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ წინა დრაფტზე იმედებს რომ ვამყარებდი, ტრავმამ შემიშალა ხელი. ერთი რამ ვიცი, რომ იოლად არაფერი მომეცემა. მე უკვე აღარ ვარ ისეთი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშე, ნბა-ს გუნდებმა ჩემზე დიდი ავანსები რომ გასცენ. მოედანზე უნდა დავამტკიცო, რომ ნბა-ში თამაში შემიძლია და ბევრი მომეთხოვება. ამიტომ სტაბილურობა მმართებს და ყველაზე მეტად ჯანმრთელად ყოფნა მჭირდება. თუ ტრავმა ხელს არ შემიშლის, ალბათ მოვახერხებ სეზონის ისე ჩამთავრებას, რომ დრაფტზე დავდგე და იმედგაცრუებულიც არ დავრჩე.

**ირაკლი ბერტაია**

## ულებ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი მეექვსე ტური. 11 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ტელეკომი (თურქეთი) 102:99 შაულიაი (ლიტვა)
ალბა (გერმანია) 65:80 ხუვენტუდი (ესპანეთი)
გილფორდი (დიდი ბრიტანეთი) 85:98 ბოსნა (ბოსნია)
ხუვენტუდი 12, ტელეკომი 11, ალბა 9, ბოსნა 8, შაულიაი 8, გილფორდი 6

**B ჯგუფი**

ბეშიქთაში (თურქეთი) 84:77 ვენტსპილსი (ლატვია)
შალონი (საფრანგეთი) 81:87 კიოლნი (გერმანია)
ოვარენში (პორტუგალია) 70:80 FMP (სერბეთი)
ბეშიქთაში 12, ვენტსპილსი 10, კიოლნი 10, შალონი 8, აძზ 8, ოვარენში 6

**C ჯგუფი**

პანზევასტი (ჰოლანდია) 81:95 ასოფტი (რუმინეთი)
შარლერუა (ბელგია) 64:78 ემოფარმი (სერბეთი)
ხირონა (ესპანეთი) 89:78 გალათასარაი (თურქეთი)
ხირონა 11, გალათასარაი 10, ემოფარმი 10, ასოფტი 8, შარლერუა 8, პანზევასტი 7

**D ჯგუფი**

აზოვმაში (უკრაინა) 89:83 ანვილი (პოლონეთი)
სკაილაინერსი (გერმანია) 68:76 პამესა (ესპანეთი)
ნანსი (საფრანგეთი) 77:80 ხიმკი (რუსეთი)
ხიმკი 12, პამესა 11, ნანსი 9, აზოვმაში 9, ანვილი 7, სკაილაინერსი 6

**E ჯგუფი**

ტრიუმფი (რუსეთი) 75:65 ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
სვანსი (შვედეთი) 90:83 ელიონი (ისრაელი)
ანტვერპენი (ბელგია) 58:60 ფრაიბურგი (გერმანია)
ტრიუმფი 11, ბუდუჩნოსტი 10, ფრაიბურგი 9, სვანსი 9, ანტვერპენი 8, ელიონი 7

**F ჯგუფი**

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 74:96 ნიმბრუკი (ავსტრია)
ბოლონია (იტალია) 81:62 დინამო (რუსეთი)
ოსტენდე (ბელგია) 83:71 პანელინიოსი (საბერძნეთი)
დინამო 10, ცრვენა ზვეზდა 10, ოსტენდე 9, ნიმბრუკი 9, ბოლონია 9, პანელინიოსი 7

**G ჯგუფი**

პანიონიოსი (საბერძნეთი) 90:66 კალევი (ესტონეთი)
ასველი (საფრანგეთი) 81:74 ლუდვიგსბურგი (გერმანია)
კანარია (ესპანეთი) 82:71 შლიონსკი (პოლონეთი)
კანარია 10, შლიონსკი 10, ასველი 10, პანიონიოსი 9, კალევი 9, ლუდვიგსბურგი 6

**H ჯგუფი**

აკადემიკი (ბულგარეთი) 93:77 ასკ (ლატვია)
ბკ კიევი (უკრაინა) 73:89 ბენეტონი (იტალია)
*ბკ კიევი: მარკოიშვილი 24 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა*
პო ორტეზი (საფრანგეთი) 61:79 არტლენდი (დიდი ბრიტანეთი)
ბკ კიევი 10, აკადემიკი 10, არტლენდი 10, ბენეტონი 9, ასკ 8, პო ორტეზი 7

**I ჯგუფი**

ზადარი (ხორვატია) 76:64 უნიქსი (რუსეთი)
ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია) 70:77 ტუროვი (პოლონეთი)
სტრასბური (საფრანგეთი) 81:72 ჰაპოელი (ისრაელი)
ტუროვი 12, ზადარი 9, ჰაპოელი 9, სტრასბური 9, უნიქსი 8, თაუერსი 8

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბოდიში, რომ შემომელახე

11 დეკემბერი

**ატლანტა 88:100 ტორონტო**
ატლანტა: ა. ჯონსონი (6), ჯ. ჯონსონი (23), მ. უილიამსი (23), სმიტი (5), ჩილდრესი (13); ჰორფორდი (10 ქულა, 10 მოხსნა), შ. უილიამსი (6), ლუ (2), სტუდემაიერი, ვესტი
**ფაჩულიას არ უთამაშია**
ტორონტო: ფორდი (26), პარკერი (12), მუნი (9), ბოში (20 ქულა, 13 მოხსნა), ნესტეროვიჩი (2); კალდერონი (15), ჰამფრიზი (5), დიქსონი (4), გრემი (4), დელფინო (3), ბარნანი, კაპინო

**კლივლენდი 118:105 ინდიანა**
კლივლენდი: პიუზი (36), ჯეიმსი (17), ილგაუსკასი (17)
ინდიანა: დანლივი (23), ონილი (18), მერფი (14 ქულა, 12 მოხსნა)

**გ. სტეიტი 96:84 სან ანტონიო**
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (20), დევისი (18), ბარნსი (16), აზუბუიკე (16)
სან ანტონიო: ბონერი (25 ქულა, 17 მოხსნა), ჯინობილი (13)

**ჩიკაგო 123:96 სიეტლი**
ჩიკაგო: გორდონი (27), დენგი (20)
სიეტლი: დურანტი (16)

**ვაშინგტონი 102:88 მინესოტა**
ვაშინგტონი: ჯემისონი (22 ქულა, 13 მოხსნა), ბატლერი (20 ქულა, 10 მოხსნა)
მინესოტა: სმიტი (36), ჯეფერსონი (14)

**იუტა 89:97 პორტლენდი**
იუტა: ბუზერი (29 ქულა, 13 მოხსნა)
პორტლენდი: ვებსტერი (25), როი (16)

**მემფისი 103:113 დეტროიტი**
მემფისი: გასოლი (18), ლორი (18)
დეტროიტი: ბილაფსი (28 ქულა, 14 პასი), ჰამილტონი (27), პრინსი (19)

**ნიუ ჯერსი 82:91 კლიპერსი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (21), კარტერი (16), კიდი (11 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა)
კლიპერსი: კამანი (18 ქულა, 14 მოხსნა), ტომასი (18)



ტი ჯეი ფორდი ძლივს მოასულიერეს

**ორლანდოში** სახელოვანი გამარჯვებიდან 24 საათში „ატლანტამ" გაცილებით იოლ მეტოქეს „ტორონტოს" შინ ველარაფერი მოუხერხა. თავი იჩინა დაღლილობამ. ბოლო ხანებში „ქორები" მშვენივრად ბურთაობდნენ, რამდენიმე შეხვედრა მოიგეს და მოგება-წაგებათა ბალანსი გაათანაბრეს. ამ წაგებით კი ისევ მინუსში დარჩნენ.

განსაკუთრებით ჯოშ სმიტი ჩანდა გადაღლილი, რომელმაც გასული კვირა ფანტასტიკურად ჩაატარა და აღმოსავლეთში კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. მძლავრად დაიწყო ეს კვირაც, ორლანდოში 25 ქულა და 16 მოხსნა მოიხვეჭა, მაგრამ რამდენადაც კარგი იყო იმ მატჩში, იმდენად ინერტული ჩანდა „ტორონტოსთან" — მხოლოდ 5 ქულა და 8 მოხსნა შეაკოწიწა, ამასთან, 7-ჯერ დაკარგა ბურთი და პერსონალურების გამოც მატჩის ფინალს სკამზე შეხვდა.

„ატლანტამ" მხოლოდ პირველი მეოთხედი ჩაატარა მაღალ დონეზე, 21:19 მოიგო კიდეც, მაგრამ მეორეში „ქორებს" ფრთები მოეკვეცათ, დიდ შესვენებამდე 11 ქულით ჩამორჩნენ „რეპტილიებს" და მთელი მეორე ტაიმი სულ ტყუილად ჯახირობდნენ.

ერთი ცუდი ამბავი მოხდა და ესეც ატლანტელთა გადაღლილობის ბრალი უნდა იყოს. მატჩის დამთავრებამდე დაახლოებით წუთნახევრით ადრე „ტორონტოს" გამთამაშებელმა თიჯეი. ფორდმა ატლანტელებს მათსავე ნახევარზე ჩაუჭრა ბურთი და მორიგი ორი ქულისთვის გარღვევაზე წავიდა. ფარქვეშ შესულ და ამხტარ ჩია ფორდს ატლანტელი ცენტრის ალ ჰორფორდის მთელი ძალით მოქნეული ხელი სახეში მოხვდა და მოწყვეტით დაანარცხა ფიცარნაგს, ზუსტად ისე როგორც ფილადელფიელმა სამუელ დალემბერტმა დასცა „ატლანტას" ჩვენებური ცენტრი ზაზა ფაჩულია ამ ორი კვირის წინ (ზაზა დღემდე ვერ დაბრუნებულა მოედანზე). მთელი დარბაზი დაიზაფრა, ფორდი რომ გაინძრა, ჰორფორდმა შვებით ამოისუნთქა, კინაღამ კაცი არ შემომაკვდა?! დაზარალებული სხვათა დახმარებით წამოდგა და მაშინვე ატლანტას ერთ-ერთ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც რამდენიმე დღეს დატოვებენ.

„ტორონტოს" მწვრთნელი სემ მიტჩელი კი ამ დროს ატლანტელ კოლეგა და ოპონენტ მაიკ ვუდსონს მიეჭრა, შენი შეგირდები შეგნებულად მიმტვრევენ მოთამაშეებს, აქაოდა, რომ წააგეს, ბოღმას ვერ ყლაპავენო.

ჰორფორდმა თავი იმართლა: „იმ მომენტში 8 ქულას ვაგებდით და არ მინდოდა, ფორდს ის ბურთიც ჩაეგდო, ამიტომ ვცადე ასე გულმოდგინედ წინ აღვდგომოდი. მაგრამ ყველას გთხოვთ, ბინძური მოთამაშე ნუ გეგონებით. ფორდმა კარგი მოძრაობა გააკეთა, ჰაერში მომატყუა და როცა მეგონა, რომ ბურთს ვაფარებდი, ჩემდა უნებურად ხელში მისი თავი მომხვდა."

ამასობაში კი დიდი ამბავი მოხდა კლივლენდში. იქაურ „კავალერიას" ექვსმატჩია განშორების შემდეგ მთავარი მხედარი ლებრონ ჯეიმსი დაუბრუნდა. გეცოდინებათ, „კვლივლენდმა" ის ექვსივე თამაში რომ წააგო, ახლა კი მეყსეულად აზრზე მოსულმა მკვდარი წერტილიდან დაძვრა მოახერხა. თავად ლებრონს დიდად არ უსახელებია თავი, მხოლოდ 22 წუთი ითამაშა და 17 ქულა მიახმარა გუნდს, მაგრამ მისი დაბრუნებით ძალაშემატებულმა კლივლენდელებმა „ინდიანა" პირველივე მეოთხედში 37:16 გადაყლაპეს, მთელი დარჩენილი დრო კი სუფრის ალაგებას მოანდომეს.

**ბოტე ყორშია**

## ხელბურთი

# დათუკაშვილის თავი და ბოლო
## გუნდი დაბლაა, სერგო — მაღლა

**საქართველოს** ნაკრებისა და გერმანიის „ლიუბეკის“ ხელბურთელმა სერგო დათუკაშვილმა მორიგი თამაში ჩაატარა ბუნდესლიგაში და სამწუხაროდ, მისი გუნდი ამჯერადაც დამარცხდა — „ლემგოსთან“ 22:27 წააგო. ქართველი, წინა თამაშისგან განსხვავებით, უჩვეულად პასიური გახლდათ და მხოლოდ სამი გოლით გამორჩა, რაც იმითაც იყო გამოწვეული, რომ მოედანზე მხოლოდ 20 წუთი დაჰყო. სერგო „ლიუბეკის“ უდავო ლიდერია და მისი მხოლოდ 20 წუთით თამაში გასაკვირია. ძნელია იმის თქმა, მწვრთნელმა მეტი სათამაშო დრო რატომ არ გამოუყო, შეიძლება სერგოს მცირე ტრავმაც ჰქონდა. ახლახან ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა კიდეც, ხელის ტკივილი ბოლომდე ვერ მოვირჩინეო...

რაც შეეხება მის გუნდს, „ლიუბეკი“ ამჟამად 18-გუნდა ბუნდესლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა 5 ქულით და ოდენ 2-ით უსწრებს ყველაზე სუსტ „ესენს“. ისიც სათქმელია, რომ „ლიუბეკი“ დიდი სხვაობით არ ჩამორჩება ცხრილის შუაში მყოფებს და ლიგაში დასარჩენად ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლია. მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ორ უკუდესს მოუწევს, მე-16 ადგილზე გასული კი პლეი ოფში ჩაერთვება.

ბომბარდირთა დავაში სერგო 90 გატანილი გოლით მე-8 პოზიციაზეა და 7 ბურთით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ კონრად ვილჩინსკის, ხოლო ლიდერი არნე ნეიმარი 18 გოლით უსწრებს.

**ლექსო მაისურაძე**

### მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი
mondial 2007
ქალები. საფრანგეთი. 2–16 დეკემბერი

მეორე ჯგუფური ეტაპი

**პირველი ჯგუფი (მეცი)**

ანგოლა 27:40 რუსეთი
საფრანგეთი 26:24 ნორვეგია
ხორვატია 29:29 მაკედონია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 0 | 1 | 147:124 | 8 |
| რუსეთი | 4 | 0 | 1 | 149:116 | 8 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 130:133 | 6 |
| ანგოლა | 3 | 0 | 2 | 149:152 | 6 |
| ხორვატია | 0 | 1 | 4 | 137:156 | 1 |
| მაკედონია | 0 | 1 | 4 | 121:152 | 1 |

**მეორე ჯგუფი (დიჟონი)**

რუმინეთი 32:24 გერმანია
უნგრეთი 26:31 კორეა
ესპანეთი 29:30 პოლონეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 0 | 1 | 164:137 | 8 |
| გერმანია | 3 | 1 | 1 | 151:143 | 7 |
| უნგრეთი | 2 | 2 | 1 | 144:144 | 6 |
| კორეა | 2 | 0 | 3 | 147:150 | 4 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 3 | 127:144 | 3 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 4 | 154:167 | 2 |

**მეოთხედფინალური წყვილები**

ნორვეგია — კორეა
რუსეთი — უნგრეთი
საფრანგეთი — გერმანია
ანგოლა — რუმინეთი

## სნუკერი

### დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატი
ტელფორდი. ინგლისი. 8-18 დეკემბერი

# გაროინება ოსალივანურად


ჯეიმი კოუპი

**ქარიშხლიანმა** და სენსაციურმა დღეებმა ქვიშანი უკან მოიტოვეს და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატის მეორე წრემ მოულოდნელობების გარეშე და მშვიდად ჩაიარა. მეოთხედფინალში ცნობილი ხალხი გავიდა: მსოფლიოს ჩემპიონები — რონი ოსალივანი, მარკ უილიამსი, შონ მერფი; გაერთიანებული სამეფოს პირველობის მომგებნი — დინ ჯუნხუ, სტივ მაგუაერი; წლევანდელი მსოფლიოს პირველობის ფინალისტი მარკ სელბი; შარშანდელი სეზონის ორი სარეიტინგო ტურნირის ფინალისტი ჯეიმი კოუპი და მარკო ფუ, ვინაც წლეულს „დიდ პრიზად“ წოდებული სარეიტინგო ტურნირი მოიგო.

ამ რვიდან მეორე წრეში ყველაზე მეტად კოუპს გაუჭირდა, რომელმაც ბარი ჰოუკინსის წინააღმდეგობა მხოლოდ ბოლო, მე-17 ფრეიმში გატეხა.

ყველაზე იოლად კი მერვედფინალში რონი ოსალივანი გავიდა. სნუკერის ჯადოქარმა მარკ კინგი 9:1 გაანადგურა და მეოთხედფინალში, სწორედ კოუპს შეხვდება. ამათ შორის მოგებული ნახევარფინალში მარკ სელბისა და მარკო ფუს შორის საუკეთესოზე გადის. სელბიმაც და ფუმაც ერთნაირი ანგარიშით — 9:2 იმარჯვეს, შესაბამისად დეივ ჰაროლდთან და ჯო პერისთან.

ეს ყველაფერი სატურნირო ბადის ქვედა ნახევარში, ხოლო ზევით სქოთი სტივ მაგუაერი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, უელსელ მარკ უილიამსს დაეტაკება, ხოლო ასევე ორგზის ჩემპიონი ინგლისელი შონ მერფი — ჩინელ დინ ჯუნხუს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ
გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, სპორტის ოსტატი
**რამაზ მანაგაძე**
და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, სპორტის ოსტატი
**რამაზ მანაგაძე**
და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

11 დეკემბერი

**ფილადელფია 8:2 პიტსბურგი**
*2:2 3:0 3:0*

1:0 ლუპული (2), 2:0 ლუპული (4), 2:1 უიტნი (13), 2:2 სიკორა (15), 3:2 ამბერგერი (29), 4:2 ამბერგერი (31), 5:2 კნუბლი (40), 6:2 ლუპული (45), 7:2 კობერნი (47), 8:2 ამბერგერი (58)

**მონრეალი 2:3 ტამპა**
*0:0 1:2 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 კოვალიოვი (21), 1:1 ლეკავალიე (22), 1:2 როი (29), 2:2 პლეკანეცი (56)

**ფლორიდა 1:2 კალგარი**
*0:0 1:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 იოკინენი (37), 1:1 იგინლა (60)

**სენტ ლუისი 4:5 ედმონტონი**
*1:1 3:2 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 ბეკსი (7), 1:1 ბორკოვი (16), 1:2 უაიტი (22), 2:2 პენერი (22), 2:3 ბოისი (28), 3:3 სურეი (34), 3:4 უაიტი (37), 4:4 პიზანი (56)

**სან ხოსე 4:1 მინესოტა**
*1:0 3:0 0:1*

1:0 პაველსკი (3), 2:0 გრირი (25), 3:0 ბერნიე (29), 4:0 ბერნიე (34), 4:1 რადივოევიჩი (51)

**აღმოსავლეთი**

| ატლანტიკა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 30 | 16 | 11 | 13 | 76:72 | 35 |
| ფილადელფია | 28 | 16 | 10 | 2 | 89:76 | 34 |
| რეინჯერსი | 30 | 16 | 12 | 2 | 67:65 | 34 |
| პიტსბურგი | 30 | 15 | 13 | 2 | 88:88 | 32 |
| აილენდერსი | 28 | 14 | 12 | 2 | 63:77 | 30 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 28 | 18 | 7 | 3 | 92:77 | 39 |
| ბოსტონი | 29 | 16 | 10 | 3 | 77:72 | 35 |
| მონრეალი | 30 | 14 | 11 | 15 | 85:88 | 33 |
| ტორონტო | 31 | 13 | 12 | 6 | 97:100 | 32 |
| ბუფალო | 28 | 13 | 14 | 1 | 86:81 | 27 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 31 | 16 | 12 | 3 | 98:94 | 35 |
| ტამპა | 31 | 14 | 14 | 3 | 93:95 | 31 |
| ატლანტა | 29 | 14 | 14 | 1 | 80:96 | 29 |
| ფლორიდა | 30 | 13 | 15 | 2 | 77:83 | 28 |
| ვაშინგტონი | 30 | 11 | 17 | 2 | 74:87 | 24 |

**დასავლეთი**

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 30 | 22 | 6 | 2 | 104:67 | 46 |
| სენტ ლუისი | 28 | 16 | 10 | 2 | 76:73 | 34 |
| კოლუმბუსი | 30 | 13 | 11 | 6 | 77:77 | 32 |
| ნეშვილი | 28 | 14 | 2 | 2 | 81:84 | 30 |
| ჩიკაგო | 29 | 14 | 13 | 2 | 85:83 | 30 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 30 | 16 | 11 | 3 | 80:72 | 35 |
| მინესოტა | 30 | 16 | 12 | 2 | 73:78 | 34 |
| კოლორადო | 29 | 16 | 12 | 1 | 91:87 | 33 |
| კალგარი | 31 | 13 | 13 | 5 | 83:91 | 31 |
| ედმონტონი | 32 | 14 | 16 | 2 | 86:99 | 30 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 29 | 16 | 9 | 4 | 75:66 | 36 |
| დალასი | 31 | 16 | 11 | 4 | 90:82 | 36 |
| ანაჰაიმი | 32 | 15 | 13 | 4 | 81:91 | 34 |
| ფინიქსი | 28 | 13 | 15 | 0 | 68:80 | 26 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 12 | 16 | 2 | 86:97 | 26 |

**ბომბარდირები:** ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 46(20+26); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 42(14+28); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 41(21+20); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 40(19+21); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 40(23+17); პოლ შტასტნი (კოლორადო) 39(13+26); ჯერომ იგინლა (კალგარი) 39(17+22); მატს სუნდინი (ტორონტო) 38(15+23); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 36(12+24); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 36(10+26); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 36(11+25); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 36(21+15); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 36(12+24)

**გოლეადორები:** კოვალჩუკი 23; ზეტერბერგი, ოვეჩკინი 21-21; ლეკავალიე 20; ალფრედსონი 19; რიკ ნეში (კოლუმბუსი), ბრედ ბოიესი (სენტ ლუისი) 18-18; იგინლა, კორი პერი (ანაჰაიმი) 17-17; კორი სტილმანი (კაროლინა), ოლი იოკინენი (ფლორიდა) 16-16; სუნდინი, ნიკ ანტროპოვი (ტორონტო), ერიკ სტაალი (კაროლინა), შონ ჰორკოფი (ედმონტონი) 15-15

**ასისტენტები:** მარკ სავარი (ბოსტონი) 29; კროსბი 28; შტასტნი, ლეკავალიე, სენ ლუი 26-26; მალკინი 25; ტორნტონი, ჯეისონ სპეცა (ოტავა), სერგეი ზუბოვი (დალასი), მეტ კალენი (კაროლინა), დაციუკი 24-24; სუნდინი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 23-23

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** დენი ჰიტლი (ოტავა) 19; ლიდსტრომი 17; დუგლას მიური (სან ხოსე) 16; შტასტნი 15; ფილიპ კუბა (ტამპა), დაციუკი 14-14; კარელ რაჰუნეკი (ნიუ ჯერსი), ზეტერბერგი, ბრიუს სალვადორი (სენტ ლუისი) 13-13; სუნდინი, ჯო კორვო (ოტავა), ალფრედსონი, რობერტ ლანგი (ჩიკაგო) 12-12

*მეკარეები*

**გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი:** კრის ოსგუდი (დეტროიტი) 1,75; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 1,94; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,00; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,02; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,12; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 2,14; მენი ლეგასი (სსენტ ლუისი) 2,22; დენ ელისი (ნეშვილი) 2,23; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,25

**დარტყმათა მოგერიების პროცენტი:** ტომასი 93,6; ოსგუდი 92,8; ლეკლერი 92,7; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,6; ლუნდკვისტი 92,5; ლუონგო 92,5; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 92,3; ელისი 92,2; მარტინ გერბერი (ოტავა) 92,0

**მოგებული მატჩები:** ნაბოკოვი 16; ლუნდკვისტი 15; ბროდო, ოსგუდი, კემ უორდი (კაროლინა) 14-14; იოჰან ჰოლმკვისტი (ტამპა), ლუონგო, რიკ დიპიეტრო (აილანდერსი), მიკა კიპრუსოფი (კალგარი), ბირონი, ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა), გერბერი, ნიკლას ბექსტრომი (მინესოტა) 13-13

**შატაუტები:** ლეკლერი 6; ლუნდკვისტი 5; ნაბოკოვი, ლუონგო 4-4; ელისი, ბექსტრომი, ბროდო, მეტიუ გარონი (ედმონტონი), მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი), ვოკოუნი, დიპიეტრო, ბირონი, უორდი 2-2



ვენსან ლეკავალიე

# თეთრი და წითელი

## ყინულის ფინელმა ფერარი გახედნა

**გასულ შაბათს მონაკოში ავტოსამყაროს 2007 წლის გამორჩეული ხალხის გალა-წარმოდგენა გაიმართა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი გმირი ფინელი კიმი რაიკონენი იყო — ფორმულა 1-ის ღირსეული და ამავდროულად, სენსაციური გვირგვინოსანი.**

**ღირსეული იმიტომ, რომ „ყინულის ფინელი" ამ ტიტულისკენ საკმაოდ დიდხანს და ჯიუტად მიიწევდა. ჩემპიონობამდე ორჯერ მეორე იყო „მაკლარენის" სახელით და ტრიუმფს კი პირველივე „ფერარულ" სეზონში უწია. სენსაციას რაც შეეხება, ჩემპიონატის ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე რაიკონენი, თითქოსდა უიმედოდ ჩამორჩებოდა „მაკლარენელ" დებიუტანტ ლუის ჰემილტონს, მაგრამ შავ ინგლისელს ბოლოსკენ შავი დღეები დაუდგა, ბოლო ორ ეტაპზე უქულოდ დარჩა და კიმიმ კი პირიქით — სწორედ დასკვნითი რბოლები ჩაატარა ბრწყინვალე სტილში და საპირველფორმულო კარიერის მეშვიდე წელს ჩემპიონიც გახდა**



**კიმი მატიას რაიკონენი**

დაიბადა 1979 წლის 17 ოქტომბერს ესპოოში (ფინეთი)

სიმაღლე 175 სმ; წონა 63 კგ

ფორმულა 1-ში გამოდის 2001 წლიდან; 120 რბოლა, 15 მოგება, 48 პოდიუმი, 14 პოულ-პოზიცია, 25 უსწრაფესი წრე, 456 ქულა

2003 და 2005 წლების მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი („მაკლარენი")

2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი („ფერარი")

### ესპოო, თოვლი და მანქანები

**კიმი** რაიკონენი ჰელსინკის მახლობლად დაბა ესპოოში დაიბადა. მშობლებმა ბიჭს თავიდანვე შეატყვეს მანქანებით დაინტერესება და რვა წლისა სახლიდან ხუთიოდე კილომეტრით დაშორებულ კარტოდრომზე სავარჯიშოდ მიიყვანეს. მას შემდეგ „ბემბოლი" მისთვის მეორე სახლი გახდა.

12 წლიდან რაიკონენმა კარტინგისტთა ოფიციალურ შეჯიბრებებში დაიწყო გამოსვლა. ეს ყველაფერი არცთუ მცირე ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მშობლები, ხელმოკლეობის მიუხედავად, ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ შვილის გატაცებას, რისთვისაც მოძველებული სახლის კაპიტალური შეკეთებისთვის წვალებით შეგროვილი თანხაც არ დაიშურეს.

ასე დაიწყო სუომელი ვუნდერკინდის ავტოკარიერა:

*„ფინეთში ყველანი ძალიან ადრე ვსწავლობთ მანქანის წაყვანას, რადგანაც იქაურ სოფლებში უმანქანოდ ვერაფერს გახდები. ამასთან ტარება გვიხდება იქ, სადაც ბევრი თოვლი და თითქმის სრული უგზოობაა, ეს კი მომზადების მშვენიერი საშუალებაა. ამიტომაც ბევრნი რალიში მიდიან, მათ შორისაა ჩემი უფროსი ძმა რამიც, რომელიც ფინეთის ჩემპიონატში გამოდის. მე რვა წლიდან კარტინგში ვარ, 18 წლისა ინგლისში წავედი „ფორმულა რენოს" სერიაში მონაწილეობისთვის, ახლა კი — ფორმულა-1 ერთი სიტყვით, თავიდანვე სულ წრიული რბოლები და ძალიან მომწონს, რადგანაც უფრო ახლოსაა ჩემს ხასიათთან" (2001 წლის ინტერვიუდან).*

კარტინგში ფინეთისა (ორჯერ) და სკანდინავიის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ რაიკონენი 1999 წელს სარბოლო მანქანაში გადაჯდა და პირველივე ცდით გაიმარჯვა დიდი ბრიტანეთის „ფორმულა რენოს" საზამთრო სერიაში (4 მოგება 4 რბოლაში). მომდევნო წელს აშკარა უპირატესობით მოიგო „რენოს" ჩემპიონატი — ათ ეტაპზე შვიდი გამარჯვება, შვიდი პოულ-პოზიცია, ექვსი უსწრაფესი წრე. მონაწილეობდა „ფორმულა რენოს" ევროპის ჩემპიონატში, სადაც სამი რბოლიდან ორი მოიგო.

სპეციალისტებმა თავიდანვე აღნიშნეს 20 წლის ფინელის თანდაყოლილი სისწრაფე და მანქანის შეგრძნების გამორჩეული უნარი. ინგლისელმა მენეჯერმა დევიდ რობერტსონმა, რომელმაც ერთი წლით ადრე ფორმულისთვის ჯენსონ ბატონი აღმოაჩინა, პეტერ ზაუბერს ურჩია, ტესტებისას გამოეცადა თავისი ახალი პროტეჟე: „მე მყავს ვილაც, ჯენსონზე უკეთესიც კი". და მალე ნათელი გახდა, რომ არა უბრალოდ, არამედ მნიშვნელოვნად უკეთესიც.

### ულიცენზიო ბიჭის ფორმულა

ზაუბერმა ტრასაზე კიმის პირველი ნახვისთანავე მასში უსაზღვრო პოტენციალი იგრძნო, თავის გუნდში მეორე პილოტის სხვა კანდიდატთა შესაძლებლობები კი აშკარად შეზღუდული ჩანდა. ბოსის აზრით, კიმი თავის ასაკთან შედარებით 6-7 წლით უფროსივით დააქროლებდა მანქანას და უფრო დალვინებულად გამოიყურებოდა, ვიდრე 36 წლის ჟან ალეზი, რომელიც „ზაუბერში" წინა სეზონში გამოდიოდა.

მოკლედ, პერსპექტიული სუომელი შთამბეჭდავი პირველივე ტესტების შემდეგ, როცა თითქმის სამასი კილომეტრი უხინჯოდ გაიარა, ზაუბერმა „ზაუბერში" ოფიციალურად მიიწვია. მაგრამ როგორც კი ეს ამბავი გაცხადდა, საპირველფორმულო სამყარო ორად გაიყო. ბევრი სპეციალისტი და მრბოლთა უმეტესობაც თვლიდა, რომ გამოუცდელი ახალბედას ტრასაზე გაშვება მეტად სარისკო იქნებოდა, რადგან მისთვის უცხო, უზარმაზარი სისწრაფისას საავარიო სიტუაცია და სხვებისთვის საფრთხე შეეძლო შეექმნა.

საქმე ისაა, რომ რაიკონენს არ ურბოლია დაბალი კლასის — ფორმულა 3-ის და ფორმულა 3000-ის ჩემპიონატებში და ამდენად, არ გააჩნდა შესაბამისი პრაქტიკა, რაც აუცილებელი პირობაა საპირველფორმულო სუპერლიცენზიის მისაღებად:

*„ფორმულა 1-ის ბოლიდი 600 ცხენის ძალით უფრო მძლავრია ყველა იმ მანქანაზე, რომლითაც აქამდე მიხდებოდა გამოსვლა, სხვა მხრივ, არანაირი განსხვავება არ არის. მართალია, ჩემს ანგარიშზე მხოლოდ 23 რბოლაა „ფორმულა რენოში", მაგრამ ვთვლი, რომ ციფრები ამ შემთხვევაში მთავარი არაა. ვფიქრობ, ზაუბერი არ მოიწვევდა მოუმზადებელ პილოტს და ძალიან დამწყდება გული, თუ ლიცენზიას ვერ მივიღებ მას შემდეგ, რაც უკვე კონტრაქტს მივაღწიე, ეს კი მთელ წელს დამაკარგვინებს. ფორმულა 1-ის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ უშუალოდ ჩემპიონატში გამოსვლით, წინასწარ ამას ვერ ისწავლი".*

კიმი თავისთვის უცხო მანქანის საჭეს პირველად 2000 წლის შემოდგომაზე მიუჯდა, ხოლო სამი თვის შემდეგ, მეორე ტესტებისას უკვე ბევრად გამოცდილ მძღოლზე სწრაფიც იყო და არც საავარიო ვითარება შეუქმნია. ყველა გააოცა ახალ პირობებთან და უცნობ ტრასებთან სწრაფად ადაპტაციის უნარმა.

ყოველივე ეს საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ ფედერაციის კომისიას, მართალია, საკმაო ყოყმანის შემდეგ, რაიკონენისთვის 2001 წლის სეზონის ოთხ საწყის ეტაპზე დროებითი, გამოსაცდელი ლიცენზია გაეცა და შემდეგ, შედეგების მიხედვით ემსჯელა გაგრძელებაზე.

### პირველად იყო ზაუბერი

„სამეფო რბოლებში" რაიკონენის დებიუტი ოთხ მარტს ავსტრალიის გრან პრიზე შედგა „ზაუბერ-პეტრონასის" მანქანით. უმაღლეს დონეზე პირველი გაქროლების წინ, ბუნებრივია, ყველა ალელდებოდა და იქნებ მცირე პანიკასაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ გარეგნულად უემოციო, „ცივი" ფინელი სრულიად მშვიდად იყო და



სადილის შემდეგ გუნდის მოტორჰოუმში (ავტობუსში) გვარიანად წაუძინა კიდეც.

პიტლაინზე ბოლიდების გასვლამდე 15 წუთით ადრე იგი ძლივს გააღვიძა „ზაუბერის“ მენეჯერმა ბეტ ცენდერმა. სულ რაღაც საათნახევრის შემდეგ 21 წლის კიმიმ ახალბედასთვის გასაკვირი უშეცდომო და დამაჯერებელი პილოტირებით შეძლო ზეგამოცდილ ჟან ალეზის, ვუნდერკინდ ჯენსონ ბატონის, მებრძოლ ჯანკარლო ფიზიკელას გასწრება და მეექვსე ადგილით თავის პირველივე რბოლაში პირველი საკარიერო ქულა მოიპოვა.

ამას კიდევ ორი წარმატებული ეტაპი მოჰყვა, რის შედეგადაც რაიკონენის სუპერლიცენზიის სათუობის საკითხი საბოლოოდ მოიხსნა. მონტე კარლოს უვიწროეს და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მართალია, უქულოდ დარჩა, მაგრამ ურთულეს ტრასაზე პირველად გასვლის მიუხედავად, ისეთი სისწრაფე და ოსტატობა გამოავლინა, რომ გაკვირვებულმა მიხაელ შუმახერმა წაუსტვინა კიდეც და დარწმუნებით თქვა: „დაიხსომეთ ჩემი სიტყვა — მოვა დრო და ის ჩემპიონის ტიტულს მოიგებს“.

ერთი სიტყვით, „ცივსისხლიანმა“, ფლეგმატურმა ფინელმა შთამბეჭდავი სადებიუტო სეზონი ჩაატარა, 16-დან ცხრა რბოლა ათეულში დაასრულა, ცხრა ქულას მოუყარა თავი და გენერალურ კლასიფიკაციაში საპატიო, მეათე ადგილი დაიკავა.

მაშინდელ ერთ-ერთ ინტერვიუში კიმიმ განაცხადა, ჩემი ოცნება „ფერარითი“ რბოლა და, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონობააო. „ზაუბერთან“ სამწლიანი კონტრაქტი კი აკავშირებდა, თუმც პირველივე სეზონში ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ზესწრაფ ახალბედას, რომლის პილოტირების მანერასაც უკვე მაშინ ადარებდნენ მიხაელისას, ამ საშუალო ძალის გუნდში დიდხანს არ გააჩერებდნენ და ტოპსაჯინიბოში აღმოჩნდებოდა. პირველ რიგში, სწორედ „სკუდერია ფერარის“ ასახელებდნენ, მაგრამ მოულოდნელად მეორე გრანდმა „მაკლარენ-მერსედესმა“ წაიყვანა პენსიაზე გასული ორგზის ჩემპიონ-თანამემამულის მიკა ჰაკინენის ადგილზე.

## ყინული დაიძრა

რაიკონენის კარიერაში კენტი წლებია საუკეთესო: 2001 — დებიუტი ფორმულა 1-ში, 2003 და 2005 წლებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, წლეულს კი „სამეფო რბოლების“ გვირგვინიც დაიდგა.

მხოლოდ ორი სეზონი დასჭირდა, რათა საპირველფორმულო ელიტაში ჩაწერილიყო. ის კი არა, 2003 წელს ლამის ტიტულიც მოიპოვა — სულ ორი ქულით ჩამორჩა შუმახერს, მიუხედავად იმისა, რომ მიხაელმა ექვსი დიდი პრიზი მოიგო, კიმიმ მხოლოდ ერთი, თუმც 10 პოდიუმით მეექვსედ გაჩემპიონებულ გერმანელზე უფრო სტაბილური იყო.

უენო „ყინულის კაცი“ თანდათან „გალღვა“, უფრო კომუნიკაბელური და სალმიანი გახდა, ოღონდ საუბრისას ისევ მოკლე, ერთფეროვანი პასუხებით იფარგლებოდა. ახალი გერლფრენდი გაიჩინა — 2001 წლის „მის სკანდინავია“ ჯენი დალმანი. კიმის წინანდელი გოგო — ჰანა ჩვეულებრივი სტუდენტი იყო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი ფინანსური მდგომარეობაც — წლიური ხელფასი ოთხ მილიონ დოლარს შეადგენდა, თავდაპირველზე თითქმის ათჯერ მეტს.

მომდევნო სეზონის ჩაფლავების მიუხედავად (მეშვიდე ადგილი), „ფერარის“ გენერალურმა დირექტორმა ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ „წითლებს“ ისევ ეჭირათ რაიკონენზე თვალი და მას შუმახერის მემკვიდრედ განიხილავდნენ: „მე მომწონს კიმი, იგი სწრაფია და ბუნებით ნიჭიერი. როცა დრო მოვა, გადაწყვეტილებას მივიღებ მრბოლის არჩევაზე და ის შესაძლოა, სწორედ კიმი გახდეს“.

2005 წელს ზესწრაფ ფინელს ისევ ერთი ნაბიჯი დააკლდა ტიტულამდე. იმდენივე რბოლა კი მოიგო, რამდენიც ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ — შვიდი, მაგრამ ჩქაროსნულობის მიუხედავად, კიმის „მაკს“ საიმედოობა ღალატობდა — შვიდჯერ გამოეთიშა რბოლას.





იმ ორ „ვერცხლის“ სეზონს შორის კიმი და ჯენი დაქორწინდნენ. სხვაფრივ, 2004 წელი ვიცე-ჩემპიონისთვის უხიერო გამოდგა — სულ ოთხი საპრიზო ადგილი და მხოლოდ მეშვიდე პოზიცია გენერალურ კლასიფიკაციაში.

## ქალი და ღვინო

იმ დროს იყო, ცოლ-ქმარი ისე მაგრა წაკინკლავდა, რომ კიმიმ სასმელით მოინდომა ბოღმის გაქარვება. ამბავი კანარის კუნძულების ერთ ბარში მოხდა — გამომთვრალი პაპარაცებმა მაშინ „გამოიჭირეს“, ქერათმიან ლამაზმანებთან ჩახუტებული რომ ცეკვავდა და ფინური გაზეთები მეორე დღესვე ფოტოებით აჭრელდა. ბუნებრივია, სკანდალი ატყდა, რაიკონენს გუნდის უფროსობამაც „გაუხურა“ და ულამაზეს მეუღლესთანაც ახსნა-განმარტება და პატიების თხოვნა მოუხდა:

*„ჩემთვის მხოლოდ ერთი ქალი არსებობს — ესაა ჯენი. სხვასთან არაფერი არ მქონია, მე ეს უბრალოდ არ მჭირდება. მიყვარს ჯენი და მხოლოდ ჯენი. ჩვენ ყველაფერზე უკვე ვილაპარაკეთ. კი, დავთვერი და ვიცეკვე, რაც ფოტოებზეც ნათლად ჩანს, მაგრამ რატომ არ უნდა მექნა ეს? ხანდახან მეც მინდა ნორმალური ბიჭი ვიყო“.*

„მაკლარენ-მერსედესის“ სპორტულმა დირექტორმა ნორბერტ ჰაუგმა მოკლედ აღნიშნა, რომ გუნდი შინაურ ვითარებაში მოაგვარებდა ამ საჩოთირო საკითხს. ისე, ბრიტანულ საჯინიბოს რამდენიმე ხნის წინაც მოუხდა თავისი ფინელი მრბოლის დაცვა, რომელიც ისე დათვრა, რომ იახტიდან გადავარდა და კინაღამ დაიხრჩო. და ეს ყველაფერი მაშინაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა.

კანარული ინციდენტის შემდეგ ორი თვეც არ გასულიყო, რომ რაიკონენი კვლავ გაეხვია ალკოჰოლურ შარში, ამჯერად ლონდონის ღამის კლუბში — „მხოლოდ თქვენი თვალისთვის“. ვიპ-ზონაში სტრიპტიზიორი გოგოების თვალწინ შარვალი ჩაიხადა და თავად გაშიშვლდა.

ერთი სიტყვით, როგორც ფინელთა უმეტესობას, კიმისაც უყვარს გადაკვრა, თუმც, როგორც ვხედავთ, ეს მის სატრასო შედეგებზე არ მოქმედებს.

შემდგომ წელს კი „ვერცხლისფერი ისრების“ ბოს რონ დენისსა და „ყინულის კაც“ რაიკონენს შორის კატამ ნამდვილად გადაჭრა ტრასა, თუმც რა ფერის იყო, თავიდან არ ჩანდა.

აქ მხოლოდ ფინელის უმოგებო სეზონი არაა მიზეზი, ან ვთქვათ, აშშ-ის გრან პრის პირველივე წრეზე თანამაკელ ხუან მონტოიასთან უტვინო შეჯახება, რის შემდეგაც ორივენი ბრძოლას გამოეთიშნენ, გაცეცხლებულმა რონმა კი ბრძანა, ეს გუნდის ისტორიაში პირველი ამგვარი სამარცხვინო შემთხვევაა. ინგლისელი შეფის თვალში „ცივმა“ ფინელმა ხუთი უტიტულო სეზონით „თავისი მოჭამა“, მით უმეტეს, რომ შემცვლელად თვით ორგზის ტრიუმფატორი ფერნანდო ალონსო იგულისხმებოდა.

## წითელი ფინიში

რაიკონენის „ფერარიში“ გადასვლაზე, როგორც აღვნიშნეთ, უამრავი წელი კი ლაპარაკობდნენ, მაგრამ „წითლებმა“ საბოლოოდ მესამე ცდაზეღა მიაღწიეს საწადელს.

ეს ამბავი შარშან სექტემბერში, იტალიური ეტაპის შემდეგ გაცხადდა, როცა უდიადესმა შვიდგზის ტრიუმფატორმა მიხაელ შუმახერმა „სამეფო სამყაროს“ თავის გადადგომაზე აუწყა.

„სკუდერია-ფერარის“ გენერალური დირექტორი ჟან ტოდტი: „ჩვენი გუნდის ისტორიაში ახალი, ექსტრაორდინალური პერიოდი იწყება. მართლაც უნიკალური სეზონი გველის, რადგან პირველად თორმეტი წლის შემდეგ, „ფერარის“ მანქანაში არ იჯდება მიხაელ შუმახერი. მოვიდა დრო, რომ ახლებმა — ფელიპე მასამ და კიმი რაიკონენმა გამარჯვების დროშა აიტაცონ.“

ნიშანდობლივია, რომ „ატაცებამდე“ კარგა ხნით ადრე ყოვლისმცოდნე ბრიტანელმა ბუქმეიკერებმა 2007 წელს ჩემპიონობა სწორედ რაიკონენს უწინასწარმეტყველეს კოეფიციენტით — 2,25, ალონსოს შანსი საგრძნობლად ნაკლები იყო — 3,0.

რაიკონენმა ახალ გუნდში გასაოცრად დაიწყო — პირველივე ეტაპი დუბლით (პოულ-პოზიცია, გამარჯვება) მოიგო, მაგრამ „წითლებს“ მერე საიმედოობის მწარე პერიოდი დაუდგათ და ლიდერობა შავკანიანმა მაკლარენელმა ლუის ჰემილტონმა იგდო ხელთ. ისე მოხდა, რომ შუა სეზონში „ჰემი“ 26 ქულით უსწრებდა „ყინულოვან კიმის“ და ტიტულის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა. მაგრამ ბოლო ორ ეტაპზე წარმოუდგენელი უქულო ჩაფლავებით ჰემილტონმა ყველაფერი დაკარგა და ორივე გრან პრის მოგებით გვირგვინი მის ნაცვლად რაიკონენმა დაიდგა. თუმც ეს უკვე სხვა ისტორიაა, მთავარი კი ის გახლავთ, რომ 28 წლის კიმი მატიას რაიკონენი სამეფო რბოლების 58-წლიან ისტორიაში 29-ე და ღირსეული ჩემპიონი გახდა.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ფუხელ

### E ჯგუფი

**რეინჯერსი 0:3 ლიონი**

0:1 გოვუ (16), 0:2, 0:3 ბენზემა (85, 88)
რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, კუელიარი, უეირი, პაპაჩი (დარშვილი 71), ჰემდანი (ბოიდი 84), უიტეკერი, ფერგიუსონი, თომსონი, მაკკალობი, კუზენი (ნეისმიტი 46)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ლიონი: ვერკუტრი, კლერკი, სკილაჩი, ანდერსონი, გროსო, ტულალანი, ჟუნინიო (ბაროში 85), კალსტრიოთი, გოვუ (რევეიერი 77), ბენ არფა (ბოდმერი 68), ბენზემა
მწვრთნელი: ალენ პერენი
გაფრთხილება: თომსონი, ჰატონი, გოვუ, კუელიარი, ჟუნინიო
გაძევება: დარშვილი (90)
მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
50 260 მაყურებელი

**ბარსელონა 3:1 შტუტგარტი**

0:1 ანტონიო (3), 1:1 ჯოვანი (36), 2:1 ეტოო (57), 3:1 რონალდინიო (67)
ბარსელონა: ხორხერა, პუიოლი, ტიური, მილიტო, სილვინიუ, მარკესი, გუდიონსენი (კრკიჩი 52), ხავი (კროსასი 70), ჯოვანი, რონალდინიო, ეტოო (ინიესტა 62)
მწვრთნელი: იოჰან ნეესკენსი
შტუტგარტი: შიაფერი, ოსორიო, ტაშჩი, დელპიერი, ბოკა, ფერნანდუ მეირა, ბაშთურქი (მაისნერი 72), ანტონიო, ევერტონი, ფარნერუდი (ჰილბერტი 58), მარიკა (ფიშერი 71)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: შიაფერი, ფერნანდუ მეირა, მარკესი
მსაჯი: სტეფან ლანუა (საფრანგეთი)
52 761 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 14 |
| ლიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| რეინჯერსი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| შტუტგარტი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:15 | 3 |

### F ჯგუფი

**რომა 1:1 მანჩესტერი**

0:1 პიკე (34), 1:1 მანსინი (71)
რომა: დონი, სისინიუ, ფერარი, მექსესი, ბარუსო (ჟულიო 62), ანტუნიეში, პისარო, ესპოზიტო (ჯუჩინიჩი 62), ტადეი (დე როსი 46), მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მანჩესტერი: კუშჩაკი, სიმპსონი, პიკე, ევანსი, ოშეი (ბრაუნი 54), იგლზი, ფლეტჩერი, კარიკი, ნანი, საა, რუნი (დონგი 72)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბარუსო
მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
29 490 მაყურებელი

**სპორტინგი 3:0 დინამო**

1:0 პოლგა (35პ), 2:0 ჟოაო მოუტინიუ (67), 3:0 ლიედსონი (88)
სპორტინგი: რუი პატრისიუ, აბელი, ტონელი, პოლგა, რონი (მიგელ ველოზუ 61), ადრიენ სილვა, ფარნერუდი (ვუკჩევიჩი 68), იზმაილოვი, ჟოაო მოუტინიუ, პუროვიჩი (პაესი 86), ლიედსონი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
დინამო: ლუცენკო, მარკოვიჩი, გავრანჩიჩი, დოპილკა, ნესმაჩნი, გიოანე, გუსევი, ნინკოვიჩი, რებროვი (ბელკევიჩი 80), შაცკიხი, ბანგურა (კრავეცი 57)
მწვრთნელი: ოლეგ ლუჟნი
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
19 402 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:4 | 16 |
| რომა | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 11 |
| სპორტინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 7 |
| დინამო | 6 | 0 | 0 | 6 | 4:19 | 0 |

### G ჯგუფი

**პსვ 0:1 ინტერი**

0:1 კრუსი (64)
პსვ: გომეში, მარსელისი, ალსიდესი, სალსიდო, ზონეველდი, სიმონსი, მენდესი, კულინა, აფელაი (აისატი 65), ფარფანი (პერესი 62), ლაზოვიჩი (ჯონათანი 84)
მწვრთნელი: იან ვოუტერსი
ინტერი: ჟულიო სეზარი, კორდობა, რივას ლოპესი, მატერაცი, მაქსველი (ძანეტი 86), სოლარი, ბოლცონი, კივუ (კამბიასო 68), კრესპო, სუასო, კრუსი (პუჩო 75)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაძევება: მენდესი (28)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
35 000 მაყურებელი

**ფენერბაჰჩე 3:1 ცსკა**

0:1 ედუ (30ს.კ.), 1:1 ალექსი (32), 2:1, 3:1 ულური (45, 90)
ფენერბაჰჩე: ვოლქანი, გიოქმანი, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი (ვედერსონი 90), ალექსი, სელჩუქი, აურელიო, ულური, დეივიდი, სემიჰი (ქაზიმი 70)
მწვრთნელი: ზიკო
ცსკა: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, გრიგორიევი, შემბერასი, ალდონინი, ედუარდო (ტარანოვი 77), ჟირკოვი, რამონი (მამაევი 46), კარვი (ოდია 46), იანჩუკი
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
გაფრთხილება: კარვი, გიოქმანი, შემბერასი, ჟირკოვი
მსაჯი: მატეო სიმონე ტრეფოლონი (იტალია)
45 745 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 15 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| პსვ | 6 | 2 | 1 | 3 | 3:6 | 7 |
| ცსკა | 6 | 0 | 1 | 5 | 7:14 | 1 |

### H ჯგუფი

**არსენალი 2:1 სტიაუა**

1:0 დიაბი (8), 2:0 ბენდტნერი (42), 2:1 ზაჰარია (68)
არსენალი: ლემანი, სანია (დიარა 71), გალასი, სენდეროსი, ტრაორე, ჰოლებტი, სონგი, დენილსონი, დიაბი (ებუე 71), ბენდტნერი, ვან პერსი (ედუარდო 65)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სტიაუა: საპატა, ემეგარა, გოიანი, რადა, ნეშუ, ნეაგა (ზაჰარია 64), პეტრე, ლოვინი, კრისტოსეა (სურდუ 57), დიკა, ბადეა (გოლანსკი 81)
მწვრთნელი: მარიუს ლეკატუში
გაფრთხილება: ნეაგა, ბენდტნერი
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
59 786 მაყურებელი

**სლავია 0:3 სევილია**

0:1 ლუიშ ფაბიანო (66), 0:2 კანუტე (69), 0:3 დანი ალვეში (87)
სლავია: ვანიაკი, კრაიჩიკი, ბრაბეცი, სუხი, ჰუბაჩეკი, ბელაიდი, ტავარესი, შმიცერი (შმიცერი 46), პუდილი (გაუჩო 74), ვოლეშაკი (ნეციდი 66), ივანა
მწვრთნელი: კარელ იაროლიმი
სევილია: დე სანქტისი, დანი ალვეში, ლოლო, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი, რენატო (მარესკა 64), მარტი, კაპელი, კანუტე (დუდა 70), კონე (ლუიშ ფაბიანო 59)
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: დრაგუტინოვიჩი, კრაიჩიკი
მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
11 689 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 6 | 5 | 0 | 1 | 14:7 | 15 |
| არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:4 | 13 |
| სლავია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:16 | 5 |
| სტიაუა | 6 | 0 | 1 | 5 | 4:10 | 1 |

# ლიონმა ჯერ მწარე ჭამა კვლავ ტკბილი

**ესეც** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი — ერთ კვირაში უეფას ბოსები შეიკრიბებიან და ბრძოლას შემორჩენილ 16 გუნდს სამერვედფინალოდ დააწყვილებენ, იქამდე კი წუხანდელი ღამისა ვთქვათ.

ისე, კაცმა რომ თქვას, სათქმელი ბევრიც არაფერია. უფრო სწორად, ბევრ მატჩზე არ არის სათქმელი — წუხანდელი რვა თამაშიდან ოდენ ორი გამოდგა ისეთი, ჯგუფებიდან გამსვლელის ვინაობა რომ გაარკვია, დანარჩენ მატჩებს კი ასეთი ინტრიგა აკლდა.




...ორი ტურის მერე „ლიონს“ ორი წაგება და ბურთების საშინელი შეფარდება (0:6) ჰქონდა. „რეინჯერსი“ კი ორი მოგებით იწონებდა თავს. ამათგან ერთი კი სულაც ლიონში მიითვალა...

მერე რალაცეები შეიცვალა და წუხელ კი, „აიბროქსზე“ თამაშის დაწყებამდე „რეინჯერსს“ და „ლიონს“ თანაბარი ქულები ჰქონდათ. ოღონდ ეს თანაბრობა შოტლანდიელთა სასარგებლოდ იყო — მათ ფრეც ხელს აძლევდათ.

მაგრამ აი, რა მოხდა: ქარიმ ბენზემას დარტყმული მასპინძელთა მეკარე ალან მაკგრეგორმა მოიგერია, სიდნეი გოვუმ კი დაამატა და გაიტანა.

ეს ამბავი მატჩის დაწყებიდან მცირე ხანში მოხდა და „რეინჯერსიც“, ცხადია, გასათანაბრებლად გაიწია — ასეთი ანგარიში უკვე ფრანგებისა იყო.

კი გაიწია, მაგრამ, რომ ვთქვათ, თამაში მომენტებით დახუნძლული იყო, მართლები არ ვიქნებით. თუმცა ბოლო ათწუთეული მართლაც ფრიად დაძაბული გამოდგა: ჟუნინიოს ჯარიმა — ბურთი ხარიხამ აისხლიტა; ბენზემას მეკარესთან პირისპირ დარჩენა, მოტყუება, დარტყმა და ბურთი ცარიელი კარიდან მცველმა გამოიტანა; ჟან-კლოდ დარშევილის დარტყმა მეკარის ბაქნის შიგნიდან — ბურთი როგორღაც კარს ასცდა. ამ სამი თვალსაჩინო მომენტის მერე კი ბენზემამ რეინჯერსელებს ზურგის ოდნავ მოშიშვლება არ აპატია და ორი გოლი კიდევ გაუტანა. საბოლოოდ, „ლიონმა“ 3:0 მოიგო და ზემოთ საშინელი დასაწყისი რომ ვახსენეთ, ხეირად შემოაბრუნა.

მეორე მატჩი კი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, „ფენერბაჰჩე“ — ცსკა გახლდათ.

იქ რუსები ედუს ავტოგოლით იგებდნენ, მაგრამ „ფენერს“ არ დაუხანებია — ორ წუთში ალექსმა გაათანაბრა, ულურმა კი ტაიმისთვის წამატებულ წუთზე მეორე გაიტანა. მისივე, თამაშის ბოლო წუთის გოლმა თურქთა უპირატესობა გაამყარა და „ფენერი“ მერვედფინალში გავიდა.

წუხანდელი სხვა საინტერესო ამბავი კი ეს არის: რომში „რომასა“ და „მანჩესტერის“ გულშემატკივრებმა ერთმანეთს დასცხეს. ეს მატჩის დაწყებამდე მოხდა. იმ მატჩისა, რომლის შედეგსაც არც ერთი გუნდისთვის რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. შედეგად ხუთი ინგლისელი და ერთი იტალიელი ფანი საავადმყოფოში მოხვდა, თუმცა საგანგაშო ჭრილობა არავის აქვს.

**კოტე კეკელია**

---

მილანი
პორტუ
ლივერპული
ჩელსი
შალკე
რეალი
ოლიმპიაკოსი
სელტიკი
ბარსელონა
მანჩესტერი
რომა
ინტერი
სევილია
არსენალი
ფენერბაჰჩე
ლიონი

მერვედფინალის წილისყრა 21 იანვარს გაიმართება

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. გადადებული მატჩი**

ფერსლი 1:2 ტორკი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

ვესტ ჰემი 1:2 ევერტონი

### იტალია

**სერია C1/A. XVII ტური**

ფოლინო 1:1 სასუოლო
ლეკო 0:0 ვერონა
ლენიანო 0:0 კავეზე
მანფრედონია 0:0 კრემონეზე
მონცა 0:0 ვენეცია
ნოვარა 2:2 პრო სესტო
პაგანეზე 0:0 პრო პატრია
ტერნანა 1:2 ჩიტადელა
პადოვა 1:1 ფოჯა

**სერია C1/B. XVII ტური**

ანკონა 0:0 არეცო
კროტონე 1:1 ლანჩანო
იუვე სტაბია 0:1 სალერნიტანა
ლუკეზე 0:0 ტარანტო
მარტინა 0:0 პისტოიეზე
მასეზე 1:0 სორენტო
პესკარა 3:2 გალიპოლი
პოტენცა 1:1 სამბენედეტეზე
სანჯოვანეზე 1:2 პერუჯა

**თასის 1/8 ფინალი. I მატჩი**

კალიარი 1:0 სამპდორია

### ესპანეთი

**თასის 1/16 ფინალი. I მატჩები**

ბურგოსი 0:1 ხეტაფე
გრანადა 1:2 ატლეტიკო
ოსასუნა 2:0 მალიორკა
ელჩე 1:1 ბეტისი

### უკრაინა

**თასის 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

შახტარი 1:1 ვორსკლა (3:0)

### სერბეთი

**სუპერლიგა. XVI ტური**

ჩუკარიჩკი 1:1 ჰაიდუკი
მლადოსტი 0:1 ვოივოდინა
ნაპრედაკი 0:2 პარტიზანი
ოფკ 0:2 ბანატი
ცრვენა ზვეზდა 4:0 ბორაცი
სარტიდი 2:1 ბეჟანია

### ბულგარეთი

**თასის 1/8 ფინალი**

ბანსკო 2:6 ჩერნო მორე
ბოტევი 4:2 სლავია
ჩავდარი 0:2 კალიაკრა
ლოკომოტივი (ს) 1:0 სპარტაკი
მინიორი 0:1 პირინი
სპორტისტი 1:4 ლოკომოტივი (პლ)
ჩერნომორეცი 0:2 ლევსკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასკაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge